№ 2865
სამშაბათი,
19 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2865
სამშაბათი,
19 ივლისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური **გაზეთი „ცნობის ფურცელი"** ადგილობრივ და გაგზავნითი ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **ხურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ოთხშაბათს, 20 ივლისს, ანჩისხატის ტაძარში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ბარბარე სვიმონის ასულის არდაზიანის

სულის მოსახსენებლად. (1—297—1)

ი შ ვ ი ა თ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

მახანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—59)

ყვირილის თეატრი

ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ 29 ივლისს, საღამოს 3 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება წესდების 21 მუხლის ძალით. განსახილველი იგივე საქმეებია, რაც წარსულ კრებაზედ იყო დანიშნული. (3—6.—3)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდროვს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (80—6.—5)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
16 ივლისი

ტოკიო. ამერიკის სამხედრო მინისტრი ტაფტი და ალისა რუზველტი კიოტოში წავიდნენ. ვოკზალზე დაესწრო ბევრი ხალხი. დიდის ენტუზიაზმით გააცილეს.

ლონდონი, „მორნინგ პოსტ"-ი არჩევს „რეიხსბოტე"-ს შენიშვნას, სადაც უკანასკნელი ამბობს, რომ, რადგანაც ცნობაა ბრიტანიის ესკადრის მომავალ მოგზაურობაზე ბალტიის ზღვაში, დროა გამოცხადდეს იგი დახურულად და გერმანია უნდა მეფობდეს ბალტიკაში. „მორ. პოს."-ი ამბობს: „თუ ავტორს ნამდვილად გერმანია ჰყავს სახეში, მას უსათუოდ ჩვენთან უნდა შეტაკება და, რაც უფრო ჩქარა, მით უფრო კარგიო". გაზეთი იგონებს გერმანიის ესკადრის ირლანდიისა და ბრიტანიის წყლებში მოსვლას, მაშინ როდესაც ბალტიის ზღვა სრულებით გერმანიის ტბა არ არის. ბეჯითად უნდა მოითხოვოს, რომ ბალტიკაში ინგლისმა ერთი დუჟინი ახალი ჯავშნოსანი გაჰგზავნოს საუკეთესო კამანდითურთო. საერთოდ ძლიერ არის აღელვებული საზოგადოება ინგლისში. სხვა და სხვანაირი ხმები დადის ბირჟაში მომხდარ შეხვედრის მიზნის შესახებ. ამბობენ, გერმანიის იმპერატორს პროექტი აქვს, ბალტიის ზღვა დახურულად გამოაცხადოს ყველა სახელმწიფოთათვის გარდა გერმანიისა, სკანდინავიის სახელმწიფოებისა და რუსეთისაო. ამბობენ აგრეთვე, რომ რუსეთს ნორვეგიის ერთ-ერთ ფიორდს მისცემენო. ინგლისში საფრანგეთის ფლოტის მისვლა ვეებერთელა კონტრ-დემონსტრაციის საბაბი იქნება.

ტოკიო, 15 ივლისი. ვლადივასტოკის ძლიერმა ესკადრამ შემოარტყა ალყა ზღვიდან. ბევრი გემი უდარაჯებს სახალინისა, ციმბირისა და კორეის ნაპირებს.—მანჯურიიდან დაბრუნებული აფიცერი ამბობს, ხალუნჩენში რუსებს 30 ათასი კაცი ჰყავთ 5 დიდის ზარბაზნით და რუსის უმთავრესი პოზიცია იქიდან იწყება და ტორკიში თავდებაო. სანჩენცოუს ჩრდილოეთით 2 ათასი რუსი დგას 15 ზარბაზნით, ტიპენხასანის მთის ძირას 1060 კაცი რამდენისამე ზარბაზნით. რუსებს საკვები სურსათი აკლიათ.

გოძიადანი, 16 ივლისი. კლოსტესკამპის საზღვაო კანდელის ყელზე ჯარის გადმოყვანის შემდეგ, იაპონიის ორი კონტრ-ნაღმიანი გემი, $4^1/_2$ ვერსტზე მოუახლოვდა დეკასტრის პოსტს და ზარბაზანი დაუშინა. ჩვენს რაზმს შეეშინდა, რომ იაპონელები ყელის მხრიდან გვერდიდან მოუვლიდნენ, და დაიხია. საღამოს 9 საათზე იაპონელებმა დეკასტრი დაიჭირეს. ერთი ნაღმიანი გემი ყურეში დადგა, მეორე ყელის პირდაპირ.

ვლადივასტოკი, 16 ივლისი. ჩინელები შალანდებით სლავიანკაში მიდიან და იქიდან ტიანძინ-ჩიფუს გზით მიდიან. ივლისის დამდეგს 70 ჩინელი და ერთი რუსი შალანდით ხუნხუზებს დაეყენებინათ. რუსი და 10 ჩინელი მოეკლათ და დანარჩენი გაეძარცვათ. გზად მიმავალი ნაღმოსანი დაეწია გუნხუზებს და ციხეში მოიყვანა. კამენდანტმა ახალი წესები გამოაცხადა ხალხის დასაცველად ზარბაზნის სროლისა და ცეცხლის წაკიდების დროს. ქალაქი ნაწილებად გაიყო.

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. სატო ფიქრობს, რომ დელეგატები რწმუნების გასინჯვის უმალვე შეთანხმდებიან დროებით შერიგების შესახებაო. იაპონიის დელეგატებს უფლება აქვთ მიცემული რუსების წინადადება უარჰყონ და ეს ამბავი თავიანთ მთავრობას აცნობონ ხოლმე. დელეგატების მიერ ყოველ ხელმოწერილ ქაღალდს იმპერატორის დამტკიცება სჭირია.

გოძიადინი, 16 ივლისი. მარცხენა ფლანგზე 10 ივლისს ჩვენი რაზმი, ქვეითა ჯარისა, ცხენოსნებისა და არტილერიისაგან შემდგარი, სამხრეთისაკენ გაემართა ერდაგოუს მხარეს. საღამოთი რაზმს თოფის სროლა მოუხდათ იაპონელებთანა და ხუნხუზებთან ვანგულინის უღელტეხილზე. 11 ივლისს რაზმი უფრო ქვევით წავიდა და ერდაგოუს მხარეს ხელ-ახლა მოუხდა თოფის სროლა. 12 ივლისს გზა შეაკეთეს და ჯარი მდინარეში გაიყვანეს. 13 ივლისს ჯარი სიაოჩენზისაკენ გაემართა, თოფს ესროდა და სდევნიდა იაპონელთა დარაჯებს, რომლებიც ნელ-ნელა უკან მიდიოდნენ. დილის 11 საათზე იაპონელთა პოზიციები აღმოაჩინეს, იქ ორ ბატალიონამდე ჯარი იდგა. საღამოს 6 საათზე სანგრები შტურმით აიღეს და 7 იაპონელი დაატყვევეს. სამ მძიმედ დაჭრილ იაპონელს იარები შეუხვიეს და უღელტეხილზე დასტოვეს. მოკლული იაპონელი აფიცერი წამოიღეს. მეორე დღეს იაპონელებს დიდი მაშველი ჯარი მოუვიდათ. ჩვენი რაზმი ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

სიპიაზა, 16 ივლისი. ხმა დადის, იაღუს არმიას (გენ. კავამურას არმიას) აღმოსავლეთ რაიონში საარტილერიო და საინტენდანტო სურსათი რკინის გზით მოსდის სამხრეთიდან მუკდენამდე, ტელინამდე, კაიუანამდე და შემდეგ მდინარე ხანხე, ჩაიხე და ცინხეს შუა. ამ დღეებში არმიისაკენ კაიუანიდან საარტილერიო ტრანსპორტი წავიდა. ეტყობა, გარემოება ნებას არ აძლევს არმიას ჩრდილოეთ კორეის იმედი იქონიოს.

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. აქაური პრესა არას ამბობს კომურის სეკრეტრის სატოს განცხადებაზე. სატომ ჯერ კომურას სახელით უთხრა ჟურნალისტებს, თუ რუსეთი მოისურვებს, დროებითი შერიგება მოხდებაო, მერე კი, პირიქით გამოაცხადა, დროებით შერიგება მოლაპარაკებას გააჭიანურებსო. დღეს სატომ გამოაცხადა, არას დროს არავისთვის არა მითქვამს რა საზოგადო პირობაზე და არც ვიცი, რა პირობას დაუდებს იაპონიის საფუძვლად საზავო ხელშეკრულებასაო.

ტოკიო. იაპონელებ 14 ივლისს ბინდამდე სახალინზე წინ მიდიოდნენ და საჩქაროდ რუსებს სდევნიდნენ. მოწინავე რაზმებმა ნაშუადღევის 3 საათზე დელბონსკო დაიჭირეს. როცა იაპონიის კავალერია რიკოვისაკენ გაემართა, მეორე რაზმი ნემიხისა და ვისოკის წინააღმდეგ მოქმედებდა და რუსები ვედერნიკოვსკიდანა და სხვა პოზიციებიდან განდევნა. იაპონელები დაუყოვნებლივ შეუდგნენ რუსის რაზმის დევნას; რუსებს ვედერნიკოვსკში ქვეითა ჯარი ჰყავდათ რამდენისამე ზარბაზნით.

გლასგო. ოფიციალურად გააფრთხილა შოტლანდიის კონსერვატორების კანდიდატები ლონდონის ცენტრალურმა ბიურომ, რომ საჭიროა არჩევნებისთვის მომზადებას შეუდგეთ არა უგვიანეს ოქტომბრის გასულისაო.

ადესა. ორის დღის განმავლობაში ნოვოროსიის უნივერსიტეტის კანცელარიაში 200 მისაღები და 150 გადასასვლელი თხოვნა მივიდა.

კალუგა. ქალაქის სამმართველოს ნება დართეს გამოსცეს ყოველდღიური ჟურნალი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. როგორც დანამდვილებით ვიცით, სირმოვისა და ვოლგის მუშები, გემების მოსამსახურეები და ხელოსნები მშვიდად მუშაობენ და აშკარად ეწინააღმდეგებიან აგიტატორების მისწრაფებას არეულობის მოსახდენად. მასსობრივი არეულობა და ებრაელების ცლეტა-ხოცვა 9-დან 11 ივლისამდე არ ყოფილა. მცხოვრებლების პროტესტი გამოიწვია მებრძოლ ორგანიზაციის ჯგუფის დემონსტრანციებმა. არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ წესიერება დაირღვევა. ბაზრობა იღვიძებს, ბევრს ხალხს ელოდებიან ციმბირიდან, შუა აზია და სპარსეთიდან.

კალიში. აკრძალეს პოლონური ენა, რომელიც უკანონოდ იქნა შემოღებული კალიშის გზაზე. ნება აქვთ აგენტებს ერთმანერთ შორის ილაპარაკონ პოლონურად და პოლონურადვე უპასუხონ მგზავრებს, თუ ისინი პოლონურად დაელაპარაკებიან.

პეტერბურგი ტყუილია ხმა, ვითომც შემოღებული უნდა იქნეს გადიდებული სადამოენო ტარიფი ახალ რუსეთ-გერმანიის ხელ-შეკრულობითო. ხელ-შეკრულობა ძალაში შევა 1906 წ. 16 თებერვლიდან (1 მარტი). ეს ვადა გერმანიასთან შეთანხმებითაა დადებული და მისი შეცვლა არ შეიძლება.

ბაზელი, 15 ივლისი. სიონისტების კონგრესის დღევანდელ სხდომაზე შფოთიანი კამათი გაიმართა ინგლისის წინადადების შესახებ:—სიონისტებმა თავიანთ საქმისთვის ინგლისის სამფლობელო უგანდით ისარგებლონ აღმოსავლეთ აფრიკაშიო, ზანგრილმა სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, უგანდაზე უსათუოთ უარი უნდა გამოვაცხადოთ და ინგლისის მთავრობას სხვა ადგილი ვსთხოვოთო.

სევასტოპოლი. პრუტზე მომხდარ აჯანყების საქმის გამოძიება გათავდა. საქმეს გაარჩევენ 20 ივლისს სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო სასამართლოში. 44 მატროსია სამართალში მიცემული.

მოსკოვი. 24 აგვისტოს სამოსამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, გაარჩევენ პოლტორაცკისა და ვოლკოვის საქმეს; ამათ გენ. ტრეპოვის მოკვლის განზრახვა ბრალდებათ ნიკოლაევსკის ვოკზალზე.

სტამბოლი. პოლიციურ წრეებში ამბობენ, რომ ბომბის აფეთქების გამოძიებით სომეხი უნდა იყოს დამნაშავეო, სხვა წრეები კი, პირიქით, ოსმალოს ასახელებს დამნაშავედ. გააძლიერეს ტახტის ორ უახლოეს მემკვიდრის დაცვა.

პეტერბურგი. ციმბირის მესამე საარმიო კორპუსის კამანდირი, გენ.-ადიუტ. სტესსელი, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და დარჩა გენ.-ად. წოდებაში.

პორტ-საიდი, 17 ივლისი. რუსის კრეისერი „კუბანი" ლიბავას წავიდა.

ბაზელი, 17 ივლისი. გუშინ ღამის 4 საათამდე ძლიერი კამათი იყო გამართული უგანდის საქმეზე. დღეს კონგრესმა დაადგინა მადლობით უარ ჰყოს ინგლისის წინადადება. შემდეგი რეზოლიუცია დაადგინეს: სიონისტთა მეშვიდე კონგრესი აცხადებს, რომ სიონისტების ორგანიზაცია მტკიცედ აღიარებს ძირითად პრინციპს პალესტინაში საზოგადოებრივი უფლებრივი სამშობლო შექმნას და პალესტინასა და იმის მეზობლად ქვეყნის ვარედ დასახლებას უარ-ჰყოფს.

ათინა, 16 ივლისი. საზღვაო მინისტრი ბუდურისი სამხედრო მინისტრად დაინიშნა, საზღვაო მინისტრად—დელიანისი.

სიმფეროპოლი, 17 ივლისი. მოსულ მუშათა შორის სახადის ავადმყოფობა აღმოაჩინეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
16 ივლისი.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 15 ივლისის თარიღით: „ჯარების ფრონტზე ცვლილება არაა. 11 ივლისს იაპონელებმა დესანტი გადმოსხეს ორ ნაღმოსნიდან კუნძულ სახალინზე".

ნიუ-იორკი. იაპონელები ფიქრობენ, პორტ-სმუტში მოლაპარაკება ისე წავა, როგორც თავის დროზე სიმონესეკის კონფერენციაო. მათის აზრით, პირველ დღეს ორივე მხარე გაეცნობა მთავარ-რწმუნებულთა მინდობილებებს. თუ ვიტტეს არ ექნება ნება ხელი მოაწეროს ყოველივე ხელშეკრულობას, მაშინ მისს რწმუნებას არ ჩასთვლიან სრულის ძალის მქონედ ისე, როგორც არ სცნეს საკმაოდ ლიხუნჩანგის რწმუნებანი.

თუ ვიტტეს საკმაო რწმუნება ექნება, იაპონელები დასწერენ თავიანთ მოთხოვნებს. როცა რუსების დელეგატები იაპონიის მოთხოვნებს მიიღებენ, მაშინ ისინი სათათბიროდ უნდა წავიდნენ რამდენისამე დღის განმავლობაში და შემდეგ თავიანთი პასუხი დაწერილი უნდა წარადგინონ. ამგვარად მოლაპარაკება წერილობითი იქნება. იაპონელების აზრით კონფერენცია ერთ თვეზე მეტს გასტანს.

ტანჟერი. სულთანმა მიიღო გერმანიის ფირმის წინადადება და ნება დართო მოლი გამართოს, რაზედაც ერთ მილ. და 200 ათასი მ. წავა. საფრანგეთისა და ინგლისის წინადადებანი უარ-ჰყვეს.

ქრისტიანია, 16 ივლისი. სტორტინგმა ერთ ხმად მიიღო კანონპროექტი, იმის შესახებ, რომ ხალხს გადაეცეს უნიის დარღვევის საკითხი გადასაწყვეტად. ედემ ნილსენის წინადადება პლებისციტის გამართვის შესახებ მომავალ სახელმწიფო წესწყობილების საკითხის გამოსარკვევად, უკუგდებულ იქნა.

დონის-როსტოვი. როსტოვის ხაზინაში აღმოაჩინეს, რომ ვიღაცას 50 ათასი მანეთი გაუტანია ყალბის უწყების საშუალებით. ღამით დაიწვა მაკარონის ფაბრიკა ჩურილინისა; ფაბრიკას მეორეჯერ წაეკიდა ცეცხლი. მიზეზი არ იციან. ზარალი არაა გამორკვეული, დაიწვა 50 ათასი მან. საქონელი.

ბალტა. გუშინ მიწათ-მფლობელებისა და თავად-აზნაურთა სიეზდზე, სხვათა შორის, განიხილეს აგრარული საკითხიც.

მოსკოვი, 16 ივლისი. უმაღლესი კომერციული ინსტიტუტი გაიხსნება არა ადრე 1906 წ. შემოდგომისა. დღეს მოსკოვის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ბაზილევსკიმ შესახებ გუშინდელ დადგენილებისა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევაზე განსაკუთრებული აზრი შეიტანა, სადაც იგი ამბობს, რომ ხალხის წლობით აღჭურვილთა ხმა უნდა იყოს მრჩეველი და არა გადამწყვეტიო.

მოსკოვი. თვით-გასამართლება არ წყდება. მუშებმა გამონახეს 20-მდე ქურდი. შეიქნა ჩხუბი, რომლის დროს ერთმა ქურდთაგანმა მუცელი გაუფატრა სტამბაში მომუშავეს. პოლიციამ გაჰფანტა ბრბო.

16 ივლისი.

პარიზი. რუზველტი ახალი სტ. 5 აგვისტოს მიიღებს როგორც რუსისა ისე იაპონელების რწმუნებულთ. ჰფიქრობენ, რომ რჩევა გაიხსნება პორტ-სმუტში 7 აგვისტოს.

17 ივლისი

ბერლინი, 17 ივლისი. ჩინეთის გამოჩენილმა დიპლომატმა აცნობა „ლოკ. ანცაიგ."-ს თანამშრომელს, რომ ჩინეთის დედოფალმა და ბოგდიხანმა წინადადება მისცეს მეფის თანაშემწეებსა და გუბერნატორებს, გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა უნდა დ ჭიროს ჩინეთმა მანჯურიის შესახებ მომავა სამშვიდობო მოლაპარაკების დროსო. ა თივე ბრძანება დაეგზავნა ჩინეთის ყველა ელჩებს. ამნაირ შეკითხვების შედეგი მისცემს მასალას, რომლისდა მიხედვით განზრახვა აქვთ შეიმუშაონ ჩინეთის მოთხოვნები: ასეთია, მაგალ., ანაზღაურება არა მარტო იმ ზარალისა, რომელიც სამხედრო მოქმედებამ მიაყენა ჩინეთს, არამედ სახელმწიფო შემოსავალის შემცირებისაც, რაიც გამოწვეულია ქვეყნის განადგურებით. ეს შეკითხვები საბაბს იძლევა აზრი გამოსთქვან მანჯურიის მომავალ მართვა-გამგეობაზე, ვინაიდან ძველი წეს-რიგი შეუძლებელია. ჩინეთის ამგვარ ქცევაში თვალსაჩინო ის არის, რომ ჩინეთი ხელმძღვანელობს იმ აზრით, რომ იაპონია აღთქმას აასრულებს და მას მანჯურიას დაუბრუნებს.

პეტერბურგი. დაინიშნა ჟანდარმთა ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის თანაშემწე გენ.-მაიორი ფონ-მედემი მოსკოვის გრადონაჩალნიკად საარმიო კორპუსში ჩარიცხვით.

ტომსკი. 6 დღის შეჩერების შემდეგ გამოვიდა გაზეთები.

მოსკოვი. მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ ნიჟეგოროდის იარმუკა მაინც გაიმართება, მიუხედავათ იქაურის ამბებისა, და თავის რიგზე წავა. მოსკოვის ვაჭრებში ბევრი გაემგზავრება ამ დღეებში იარმუკაზე.

გლეხთა საკითხის გამო.

მას შემდეგ, რაც 19 თებერვლის მანიფესტმა მონობის ბორკილი აჰყარა გლეხებს და ადამიანად აღიარა ისინი, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ყველა ელემენტები დამყარდა იმ მრისხანე გლეხთა საკითხის შესაქმნელად, რომელიც ორმოცის წლის განმავლობაში თანდათან მწვავდებოდა, მწიფდებოდა და რომელიც დღეს საყოველთაო თავსამტვრევ საგნად არის გადაქცეული. გლეხს 19 თებერვლის მანიფესტმა, როგორც ვიცით, მხოლოდ იმდენი მიწა გადასცა საკუთრებად, რამდენიც ეს საჭირო იყო იმის დასაბმელად ერთს ადგილზე, მაგრამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად კი არა. მიწის სიმცირე, მიწის საჭიროება პირველ ხარისხოვან როლს თამაშობს დასაბამიდანვე რუსეთის ისტორიაში, თუმცა საერთოდ რუსეთს მიწას ჭეშმარიტად თავსაყრელი აქვს. ეს პარადოქსალური მდგომარეობა, რომელიც კაცს პრუდონის სიტყვებს მოაგონებს, ნაციონალური სიმდიდრე—ხალხის სიღარიბეაო, იქიდან წარმოსდგება, რომ მიწა რუსეთში ყოველთვის იმის საკუთრება ყოფილა და არის, ვისაც მიწის მუშაობა არ შეუძლიან და, პირიქით, ვინც ჩვეულია თავის ოფლით მიწის რწყვას, იმას კი მხოლოდ იმდენი მიწა აქვს, რომ ის ერთს ადგილას შეაკავოს და „უგზოუკვლოდ ხეტიალი" არ დააწყებინოს.

ვითომ იმ განზრახვით, რომ რუსეთის გლეხობას უგზო-უკვლო ხეტიალი არ ენახა, და ნამდვილად კი იმიტომ, რომ გლეხ იძულებული გამხდარიყო შრომის ბაზარზ თავისი ძალღონე იაფად მიეყიდნა წინანდელის ბატონისთვის, გლეხს 19 თებერვალ თავისუფლებასთან ერთად მცირე მიწის ნაჭრები მისცეს. მას შემდეგ ორმოცმა წელიწადმა გაიარა, გლეხთა რაოდენობა შეიცვალა, იმათმა რიცხვმა ერთი ორად დ ერთი სამად იმატა, მიწა კი გლეხობას საერთოდ დღესაც იმავე ზომისა აქვთ, რაც წინად ეჭირათ.

მიწის სიმცირე ბატონყმობის გადავარდები შემდეგ ფოლადისებურის ძლიერებით აიძულებდა გლეხს იმდენი იჯარა ეძლია მემამულისათვის მიწაზე, რამდენსაც კი მოსთხოვდნენ. გლეხს თავისი საკუთარი მიწა არ ჰქონდა, სხვაგან წასვლა არ შეეძლო, მეტი რა გზა გააჩნდა, რომ იმ პირობებით არ აეღო საიჯარო მამული, რომელსაც მემამულე დაუწერდა. იჯარის ზრდა პარალელურად მისდევდა გლეხთა რიცხვ ზრდას, იმიტომ რომ მიწის სიმცირე მი უფრო საგრძნობელი ჰხდებოდა გლეხობი თვის, რაც უფრო იზრდებოდა იგი. ამ ხ ლოვნურის საშუალებით გაზრდილმა იჯარის ფასმა ასწია მიწის ფასიც და გაჩნდ სპეკულიაცია მიწის ვაჭრობაში, გამრავლდ სადგილ-მამულო ბანკები, რომლებმაც თი თქმის მთელი რუსეთი ჩაითრიეს თავის მ ქმედებაში, და ამ გვარად გლეხის ექსპლო

ატაციით დაინტერესდა თითქმის რუსეთის მცხოვრებლების ყოველი წრე, ყოველი კლასი.

დღევანდელს პირობებში, როგორც რუსეთში, აგრეთვე ჩვენში, გლეხი მთელს თავის წმინდა შემოსავალს და ზოგჯერ იმაზე მეტსაც მიწის პატრონს აძლევს. გლეხის ექსპლოატაცია შეადგენს იმ წყაროს, რომლითაც ივსება მილლიარდიანი ბიუჯეტი რუსეთის სახელმწიფოსი, და იგივე გლეხის ექსპლოატაცია ასულდგმულებს რუსეთის მრეწველობას, რომელიც საბაჟოს მფარველობით იმ ფასებში ასაღებს თავის ნაწარმოებს რუსეთის საზღვრებში, როგორც მოეპრიანება. აი სწორედ ამ მიზეზების გამო შეიქმნა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება მმართველობის მზრუნველობის უპირველეს საგნად, სწორედ ამიტომ დაფაცურდა მთავრობა გლეხთა საკითხის გამო უკანასკნელ ხანებში, როდესაც აქა-იქ გლეხთა მოძრაობა გაჩნდა და მიწის პირად გასწორებული გლეხი გონს მოვიდა, უზომო ექსპლოატაციისაგან თავის დახსნა განიზრახა.

გლეხთა საკითხი ან, თუ გნებავთ, აგრარული საკითხი ყველაზე მრისხანეა და სახიფათო რუსეთისათვის, მაგრამ რამდენადაც მძიმე გადასაწყვეტია ის, იმდენადვე აუცილებელია იმის დაუყოვნებლივი გადაჭრა ასე თუ ისე. ზოგიერთი თანამედროვე მოძრაობის პოლიტიკურ მიმართულებით გატაცებული პუბლიცისტი ამბობს, აგრარული ანუ გლეხთა საკითხი იმავე ყოფაში უნდა დარჩეს, რომელშიაც დღემდე იმყოფებოდა, ვიდრე რუსეთში სრული თავისუფლება არ განხორციელდება და პროლეტარიატი თავის საბოლოო მიზანს ე. ი. სოციალიზმს არ განახორციელებსო. ჩვენის ფიქრით, ისეთი აზრი ერთის მხრივ შეცდომაა და მეორე მხრივ უსამართლობა.

შეცდომაა, იმიტომ რომ აგრარული კითხვა თეორიული, კაბინეთებში გამოცხვარი პრობლემა არ არის; იგი ცხოვრების კალოზე დაიბადა, იმისი შინაარსი შიმშილი და სიცივეა, იმისი ტალღა სიკვდილს მოასწავებს, და ტალღა-კი ისეთი ძლიერი აქვს, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა 80 პროცენტს სწვდება. ცხოვრების ნიადაგზე დაბადებულის საკითხის გადიდება და გადაფურჩქვნა არ იქნება, ეს ისტორიის წინადადებაა. გარდა ამისა ეს აზრი უსამართლოა, იმიტომ რომ იმაზე მეტი ექსპლოატაცია აღარ არის, რომელსაც გლეხი განიცდიდა უკანასკნელ ორმოცის წლის განმავლობაში და განიცდის დღეს, წარმოუდგენელია. გლეხს, როგორც ზემოდ ვთქვით, არა თუ მონაწილეობა არა აქვს საკუთარ მეურნეობის წმინდა შემოსავალში, ხშირად შრომის ფასიც-კი არ ჰრჩება. თუ მიწის მფლობელობა იმავ ნიადაგზე დარჩა, რომელზედაც დღემდე იყო ის დამყარებული, გლეხის ექსპლოატაცია აუცილებლად კიდევ უფრო გაიზრდება, კიდევ უფრო საშინელს ფორმებს მიიღებს და, დღეს თუნდ ჩაიხუთოს კიდეც აგრარული მოძრაობა, ხვალ უფრო მეტის მოთხოვნით აღდგება იგი...

ახლანდელს პირობებში გლეხთა მოძრაობას იმდენად პოლიტიკური ხასიათი ვერ ექნება, რამდენადაც სოციალ-ეკონომიური. შიმშილით ნაქცეულ ადამიანის გულს პრესის თავისუფლება და დეპუტატების არჩევა მაგრე რიგად ვერ გაახარებს, იმას კანონიერების იურიდიული პრინციპი იმდენად არა სჭირია, რამდენადაც სამართლიანობა და მიწის საკუთრების ნიადაგზე დაფუძნებულ ექსპლოატაციის მოსპობა. **გ. რ.**

პოლონელთა განცხადება

გაზეთ „რუს“-ში დაბეჭდილია პოლონელთა განცხადება, რომელიც მინისტრთა საბჭოში შეუტანიათ და რომელზედაც ხელი უწერია 400-ზე მეტს პოლონელს (მწერლებს, საზოგადო მოღვაწეთ, ბანკირებს, მემამულეთ, გლეხთ, მუშებს და სხვათ). განცხადება ერთობ საყურადღებოა და ამიტომ ვბეჭდავთ აქ სიტყვა-სიტყვით.

მინისტრთა საბჭოს. ღრმად გვწამს, რომ ჩვენის ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა გვავალებს გულახდილად აღვწეროთ საქმეთა მდგომარეობა პოლონეთში; ამიტომ ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერელნი, თანახმად ჩვენის ხალხის უმრავლესობის აზრისა, ვაცხადებთ შემდეგს:

I

მართვა-გამგეობის სისტემას, რომელიც უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში გამეფებულია პოლონეთში, ერთად-ერთი საგანი ჰქონდა, ჩვენი ქვეყანა გაერუსებინა, რისთვისაც სასტიკი ომი გამოუცხადეს ჩვენს ერს. ამ სისტემის აღმასრულებელთ შეუძლებელი მიზანი დაისახეს: მოსპობა პოლონეთის ხალხის ეროვნულ ხასიათისა, ენისა და, საზოგადოთ, ეროვნულ ინდივიდუალობისა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ბიუროკრატია არღვევდა კანონს, სპობდა ყველა ეროვნულ დაწესებულებათ და მათ მაგიერ ჰქმნიდა ახალს, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო პოლონეთის ხალხსა და ისტორიასთან. ბიუროკრატები ავიწროებდნენ ხალხს და ყოველგვარ დაბრკოლებას უჩენდნენ ქვეყნის ეკონომიურსა, საზოგადოებრივსა და კულტურულს განვითარებას; ხელი შეუწყეს პოლონეთის საზოგადოების გაუკულმართებას, რისთვისაც იარაღად სკოლა გაიხადეს: სკოლას დააკისრეს ხალხის განათლების მაგიერ ერის გარუსება; ამავე დროს ხელს უშლიდნენ ხალხისა და ინტელიგენციის დაახლოვებას, რათა ინტელიგენციას კეთილი რამ არ გამოეწყო ხალხის სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, ბიუროკრატიამ ვერ განახორციელა თავისი საწადელი; პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა იმის მუშაობას, სახელდობრ: გაერთიანება პოლონეთის ერისა ერთ მისწრაფებითა და სურვილით; ეხლა ყველა პოლონელს ეზიზღება დღევანდელი რეჟიმი და ყველა გაძღენთილია ერთის საგნის განხორციელების სურვილით: მიანიჭოს პოლონეთს ისეთი თავისუფალი პოლიტიკური თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველჰყოფს პოლონეთის განვითარებასა და პროგრესის გზაზე წინსვლას.

II

როდესაც უკანასკნელმა ომმა და მისგან გამოწვეულმა შფოთმა მთელს სახელმწიფოში ნათლად დაანახვა რეჟიმის ბნელი მხარეები და ნაკლი სახელმწიფოს წეს-წყობილებისა და ამასთან საჭიროება მისი ძირითად შეცვლისა, პოლონეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ რუსეთის წეს-წყობილების ძირითადი შეცვლის დროს აუცილებლად უნდა შეიცვალოს მართვა-გამგეობის სისტემა ჩვენ მხარეშიაც. პოლონეთი ელოდა, რომ მთავრობა დააკმაყოფილებდა მის საჭიროებებს და ხალხის მოთხოვნილებებს. კერძო პირთა მოხსენებებში და სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფების განცხადებებში, აგრეთვე რუსულ პრესსის საშუალებით (საჭირო გახდა პრესსის შუამდგომლობისთვის მიგვემართნა, რადგან პოლონეთის პრესსა ცენზურისაგან შეზღუდულია) ვამტკიცებდით, რომ საჭიროა პოლონეთში ის ცვლილებანი მოხდეს რომელნიც პოლონელ ერს თავისუფლად განვითარებას შეაძლებინებს.

ჩვენი საზოგადოება ფიქრობდა, რომ მინისტრთა კომიტეტი 12 დეკემბრის 1904 წ. ბრძანების აღსასრულებლად, დაამტკიცებდა არსებულ რეჟიმის უვარგისობას და შეჰქმნიდა ისეთ პირობებს, რომელთა მეოხებითაც დამყარდებოდა უფრო ნორმალური დამოკიდებულება რუსისა და პოლონელ ერის შორის.

III

მინისტრთა კომიტეტის მიერ გამოცხადებული დადგენილებანი, აგრეთვე მოტივები ჰმოწმობენ, რომ ამ დაწესებულებამ, იმისმა უმრავლესობამ მაინც, ვერ შესძლო ან არ მოისურვა დამდგარიყო უფრო ფართო გზაზე; მინისტრთა კომიტეტმა ვერ გამოიჩინა საკმაო გაბედულება, რომ საკითხი პრინციპიალურად დაეყენებინა. დადგენილებებით უნდა მოხდეს მხოლოდ მცირე ცვლილება, არსებითად-კი რჩება ძველი სისტემა მართვა-გამგეობისა. კიდევ მეტიც: ამ სისტემას ნიადაგს უმაგრებენ და აკანონებენ. მინისტრთა კომიტეტმა, მართალია დაჰგმო გარუსების პოლიტიკა, რამდენადაც, კომიტეტის აზრით, იგი უნაყოფოა, მაგრამ თავის დადგენილებებით მას არ უარჰყოფს. იგი მხოლოდ ასუსტებს ადმინისტრაციის უაზრო მოთხოვნილებებს, რადგან ეს მოთხოვნილებანი ეხება კერძო საქმეებს.

სკოლის საჭირ-ბოროტო საკითხში, ჩვენის ქვეყნის განათლების და კულტურის საზიანოდ, მინისტრთა საბჭომ დაადასტურა არსებული გამარუსებელი სისტემა სწავლებისა მთავრობის სასწავლებლებში იმ საბუთით, რომ მთავრობას არ შეუძლიან უარჰყოს ცოტაოდენი ნაყოფი, რომელიც მოიტანა გარუსებამ.

გმინის საქმეში კომიტეტის დადგენილებანი ადასტურებენ რუსული ენის ხმარებას ზოგიერთ შემთხვევაში მაშინ, როდესაც რუსული ენა შეიტანა გმინში 1864 კანონის წინააღმდეგ ადმინისტრატიულმა თვითნებობამ. ახლაც ადმინისტრატიულის წესით სჯიან იმათ, რომელნიც კანონიერად თხოულობდნენ პოლონური ენის აღდგენას გმინებში. ჩვენის ერის ბევრ სხვა საშურ და სერიოზულ მოთხოვნილებაზედ კომიტეტმა მოიყრუა ყური ან გადასდო და განხილვა მიანდო ცენტრალურ ორგანოებს ან ადგილობრივ ადმინისტრაციას. მინისტრთა კომიტეტმა არ მიანიჭა მრავალ მილიონიან ერს ისეთი უფლებებიც-კი, როგორიც აქვთ ზოგიერთ კუთხეში არა მკვიდრ მცხოვრებთ. კომიტეტის ამგვარმა დადგენილებამ ყველანი გააკვირვა და ზოგიერთ წაართვა ხელიდან იარაღი საბრძოლველად. დადგენილებებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, თითქოს დასცინიან ერსა და უცხადებენ: ნუ ელი ბიუროკრატიისაგან შენის ცხოვრების პირობების შეცვლას; დაჰკარგე ყოველივე იმედი, რომ შეგიძლიან ნორმალური დამოკიდებულება დაამყარო, როდესაც მიიღებ ნაციონალურ და მოქალაქობრივ უფლებებს, რომელნიც სამართლიანად გეკუთვნიან.

IV

ქვეყნის მართვა-გამგეობაში გამეფებულმა სისტემამ დაჰბადა ერთის მხრივ პასსიური მორჩილება საადმინისტრაციო განკარგულებათა წინაშე და მეორის მხრივ საყოველთაო წინააღმდეგობა ხალხისა, რომელსაც გაუჩნდა ეჭვი თავის არსებობის შერჩენაზე.

ბრძოლაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე გლეხობა, რომელსაც ბიუროკრატია თავისკენ უპირებდა გადაბირებას; ბიუროკრატიამ საბედნიეროდ, მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა იგი სისტემატიურად უხშობდა ხალხს კანონიერების გრძნობას, სისტემატიურად სთესდა სიძულვილს კლასსთა შორის და ინტელიგენციის წინააღმდეგ ამხედრებდა იმას. ეხლა პოლონეთის გლეხები სრულიად შეთანხმებული არიან საზოგადოების განათლებულ ნაწილებთან და ყველგან, გმინაში და გმინის გარედ, იცავენ თავის ნაციონალურს ინტერესს.

რუსსიფიკაციის სისტემამ სასკოლო საქმეში შეჰქმნა ბოიკოტი რუსის სკოლისა და ამასთანვე დაარღვია ავტორიტეტი მშობლებისა.

მუშათა შორის გაფიცვის დროს უწესოების ჩადენა და ტერრორი ნაყოფია იმ რეჟიმისა, რომელიც ჩვენ გზას გვიკრის კულტურული გავლენა ვიქონიოთ ხალხზე. რადგან ეს უწესოებანი, რომელთაც ხშირად სისხლით შეღებილი მსხვერპლები მოჰყვება ხოლმე, აოხრებენ ქვეყანას და დიდი ვნება მოაქვთ იმისათვის, ამიტომ პოლიტიკურად მომწიფებულს ელემენტებს გულწრფელად ჰსურთ მოიპოვონ საღსარი ამ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მუშათა კლასსის გამწარებას არ შეუძლიანთ დაუპირდაპირონ არავითარი ნამდვილი საბუთი იმისა, რომ კანონიერად შეიძლება მდგომარეობის გაუმჯობესება, ადგილობრივ მთავრობას კიდევ საკმაო ძალა აქვს ჩააქროს ხოლმე სასტიკობით გარეგანი გამოხატულობა უკმაყოფილებისა, მაგრამ იმდენი-კი აღარ შეუძლიან, რომ დაიცვას საზოგადოებრივი წესიერება, დაიფაროს პირადი ხელშეუხებლობა და მოსპოს შფოთი.

ჩვენ ენერგიულად ვაცხადებთ პროტესტს წინააღმდეგ იმ სისტემისა, რომელიც პოლონეთის გარუსებას სცდილობს. ამ პროტესტით ჩვენ მხედველობაში იმდენად მინისტრთა კომიტეტის დადგენილებანი-კი არა გვაქვს, რომელსაც შესაძლოა დროებითი ხასიათი ჰქონდეს, რამდენადაც—გამოხატვა პოლონეთის ხალხის გრძნობათა და შეხედულებათა იმის შესახებ, რომ მთლად დღევანდლამდე პოლონეთის მართვა-გამგეობის სისტემა შემცდარი იყო და არ შეეფერებოდა სახელმწიფოებრივს გონიერებას. ჩვენ ერთხელ კიდევ პირდაპირ ვაცხადებთ, რომ პოლონელების რუსეთისადმი ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა მიეცეს ჩვენს ქვეყანას კანონმდებლობითი და საადმინისტრაციო ავტონომია; ცნობილ იყოს პოლონური ენა ოფფიციალურად სამოქალაქო მმართველობის ყველა ნაწილებში და სასამართლოში, და აგრეთვე სწავლების ენად ყველა სასწავლებელში; გადაეცეს ადგილობრივ მკვიდრთ პოლონეთის მართვა-გამგეობლობის საქმე და უზრუნველ ყოფილ იყოს სამოქალაქო თავისუფლება.

ჩვენი საქმე არ არის რუსეთის სახელმწიფოს და ხალხის ინტერესების გადაწყვეტა, მაგრამ არ შეგვიძლიან დავიჯეროთ, რომ ეს ინტერესები ითხოვდნენ ისეთის რეჟიმის დაცვას, რომელმაც ვერც ერთი თავისი მიზანი ვერ განახორციელა და რომელმაც, პირიქით, შეჰქმნა ესოდენ სახიფათო და სამწუხარო არა მარტო ჩვენთვის, მდგომარეობა.

ვასრულებთ ამით ჩვენის სინიდისისა და ხალხისადმი ჩვენის მოვალეობის მოთხოვნას და ვაცხადებთ, რომ, თუ უარი გვითხარით და არ მოგვანიჭეთ ეს უფლება-დაწესებულებანი, რომელიც საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენის ქვეყნის ნორმალურ განვითარებისათვის, მაშინ ახლანდელ რეჟიმთან ბრძოლა უფრო გაძლიერდება და ანარხიაც გაიზრდება.

ხელი უწერია: გენრიკ სენკევიჩს, გრაფ ვლადისლავ ტიშკევიჩს, გრაფ მავრიკის, ორდინატს ზამოისკის, სტანისლავ ხოხლოვსკის, გრაფ ტადეუშ ზიბერგპლატერს და სხვა გამოჩენილ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეთ, მოხელეთ, ფინანსისტებს, თავად-აზნაურთ, მუშათ, ხელოსანთ და სხვათა და სხვათ.

ახალი ამბავი

◆ 17 ივლისს ქართლიდან დაბრუნებულმა გენერალმა ამილახვარმა კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინა არაგვის ხეობასა, საგურამოსა და ხევიდან ჩამოყვანილი **გლეხთა დეპუტატები**, სულ 35 კაცამდე. ჯერ გლეხებს სადილი გაუმართეს. შემდეგ ნამესტნიკმა მიიღო დეპუტატები და იგივე უთხრა, რაც გლეხთა სხვა დეპუტატებს. საუბრის შემდეგ გლეხები სასახლის ბაღში გაიყვანეს და საუცხოვოდ მოწყობილი ბაღი დაათვალიერებინეს.

◆ ტფილისის მაზრაში „**გლეხთა დასამშვიდებლად** გაგზავნილმა კომისიამ, გენერლის ი. ს. ქავქავაძის მეთაურობით, 17 ივლისს დაამთავრა მაზრის მოვლა. 17 ივლისს თავ. ქავქავაძემ სამაზრო გამგეობასთან შეჰკრიბა ავჭალისა, გლდანისა, დიღმისა, წყნეთისა, ხატისთელეთისა, ოქროყანისა, თონეთისა და სხვა სოფლის მცხოვრებნი. თავ. ქავქავაძემ აქაც იგივე სთქვა, რაც სხვაგან.

◆ „რუს. ვედ.“ დაბეჭდილია ტობოლის (ციმბირში) ეპარქიის კურგანის მაზრის მეოთხე საბლაღოჩინოს **სამღვდელოების წერილი რედაქციის მიმართ.** სამღვდელოება სწერს, ვუერთდებით ქართლ-კახეთის სამღვდელოების სურვილს საეკლესიო რეფორმის საქმეში და პროტესტს ვაცხადებთ იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც 31 მაისს სამღვდელოების კრების დროს ჩაიდინესო. წერილს ხელს აწერენ მღვდლები და მედავითნეები.

◆ კავ. სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ტფილისში დაუბარებიათ ქუთაისის, ერევნის და ბაქოს **სახალხო სკოლების** დირექციის ზოგიერთი მასწავლებელი. უნდა შედგეს სამი კომისია: ქართველ, სომეხ და მაჰმადიან მასწავლებელთაგან. როგორც ვიცით, მომავალ სასწავლო წლიდან სახალხო სკოლებში

ფელეტონი

მკითხველის დღიურიდან

აზრად მაქვს გავუზიარო მკითხველებს ერთის სახელ-განთქმულ მწერლის ნაფიქრი და ნაგრძნობი. ამგვარ საუბარს, ჩემის აზრით, დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს, მეტადრე ჩვენებურ ქართველ მკითხველისათვის, რომელიც ხშირად ცხრა მთას იქით დაშორებულია ისეთ ადგილიდან, სადაც წიგნის შოვნა, ახალი აზრის შეტყობა შეიძლება. უაზროდ-კი ადამიანის გონება ხუნდება, უძრაოდ ჭკნება, აზრი ისეთივე საჭიროა ადამიანის გონებისათვის, როგორც ჰაერი ადამიანის სხეულისათვის. ვის არ გამოუცდია ეს ჭეშმარიტება თავის ცხოვრებაში. ახალი, ღრმა-მნიშვნელოვანი აზრი ხანდახან გაზაფხულის სიოსავით ხვდება ჩვენ გრძნობა-გონებას, სულის ყველა ძარღვს შეათამაშებს, მთელ ჩვენს არსებას აამოძრავებს, უფეროდ ცხოვრებას ელფერს სდებს.

რა არის ეს მხიბლავი, ჯადოსნური ძალა ადამიანის აზროვნებისა, რაში გამოიხატება გონების შემოქმედების იდუმალი ძლიერება? იმიტომ უძახიან ადამიანს ოცნების შვილს, დედამიწის გვირგვინად, რომ იგი უთვალავ ცხოველთაგან მხოლოდ უმაღლესის გონიერებით არის [illegible]. ადამიანის ძალა და მნიშვნელობა ამ მის ბუნებით თანდაყოლილ თვისებაშია. გონება დაშვენებია ჩვენთვის ამ წუთი-სოფელში. ათას ფრად აღელვებული და აჭრელ-დაჭრელებულია ჩვენ გარშემო ცხოვრება. ყოველ ფეხის გადადგმაზე ისეთ მოვლენებს შევხვდებით, რომელიც ზიზღით დაგვანახვებს რაღაც გაუგებარს, მძიმე გამოცანად გვეჩვენება. ადამიანი ბავშვობიდანვე უკვირდება ამ მოვლენათ. თვითეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, რამდენჯერ გონიერის კითხვებით მოგვმართავენ ხოლმე ბავშვები და ხშირად როგორ უაზროდ და მიკიბულ-მოკიბულად ვუპასუხებთ ხოლმე. ადამიანი გულ-მოდგინედ, ბეჯითად ეძებს ამ მოვლენათა ახსნას, ცხოვრების ტრიალის ძირითად აზრსა და მნიშვნელობის შეცნობას. ეძებს და ამასთანავე ხშირად თავის საკუთარ ძალ-ღონის იმედი არა აქვს. კაცობრიობის დიდი და რთული მოძრაობა, რომელიც იმის თვალწინ ხდება, აფთხობს და აშინებს ადამიანს. როგორც ბავშვი დედის კალთას, ისე ეკვრის იგი დიდებულ მოაზროვნეთა შემოქმედებას. წარჩინებულ მწერალ-ფილოსოფოსთაგან ელის ამ დიდებულ გამოცანის ახსნას, ცხოვრების იდუმალ მნიშვნელობის შეცნობას. დიდებულ მწერალთა აზრების უკვდავი მნიშვნელობაც იმით გამოიხატება, რომ ისინი გონების ულევი ძალით ჩვენ საკუთარ ძალ-ღონეს შეგვატყობინებენ, თვითშემოქმედებას გვასწავლიან. როგორც დედის ძუძუს ნაწარმოები, მშობლის რძე უხილავად მოძრაობს ბავშვის ძარღვებში, სისხლად და ძვალ-რბილად იქცევა, ჯანს ჰმატებს, სხეულს განამტკიცებს და ასაზრდოებს, ისე მაღალი აზრებიც სულიერ საზრდოდ გვეძლევიან გონებაში, გონების სისხლად და ძვალ-რბილად იქცევა, ჯანს ჰმატებს და განამტკიცებს ჩვენ საკუთარ აზროვნებას.

აქ უნდა გვეძიოთ ამ საიდუმლოს ახსნა, რად გვეუფლება სახეტიალო გრძნობა, როცა რომელსამე დიდის მწერლის აზრებს დავეწაფებით ხოლმე. როგორც გაზაფხულზე მზის სხივები დედამიწის დაქანცულ სხეულს განაახლებს, სიცოცხლეს უდგამს ტკბილად მოჩუხჩუხე წყაროს წყალი, ისე ამ წუთისოფლის ტრიალით, მრავალ უაზრო წვრილმან ზრუნვა-ცოდვებით დაღალულ-დაქანცულ გონებას განაახლებს, სიცოცხლეს უდგამს დიდებულ მწერლების და საზოგადო მოღვაწეების მძლავრად მფეთქავი შემოქმედება, მათი ნაფიქრ-ნაგრძნობის ჯადოსნური ძალა. იმიტომ გვიხარია, რომ ისინი ნათლად გვეუბნებიან, თქვენც ჩვენსავით ადამიანები ხართ, თქვენც ჩვენსავით გონების შემოქმედებითი ძალა, მხოლოდ, ცხოვრების წვრილმანით გატაცებულნი, უყურადღებოდ სტოვებთ დღეისათვის ბუნებით უძვირფასეს განძს, საკუთარის ხელით იხშობთ გონებას. ეს გამხნევება-გაღვიძება, საკუთარის ღირსების შეგნება სწორედ იმ სიხარულის მიზეზი, რომელიც მაღალი აზრების კითხვის დროს გვეუფლება ხოლმე. გონება-გაღვიძებული ადამიანი საწყალ, უწყალო სულდგმულს აღარ წარმოადგენს ამ წუთისოფელში. იგი გრძნობს, რომ იმის არსებაში ცოცხლად მუშაობს უძვირფასესი მანქანა, რომელიც ამ სოფლის ტრიალში გზას გაუკვალავს, გარშემო მრავალ ფრად აჭრელებულ სოფელს გაუცხოვებს, იმ ღერძს გაუმხელს და გაუთვალისწინებს, რომელზედაც ტრიალებს ადამიანის ცხოვრება.

ამგვარი აზრები გამოიღვიძა, სხვათა შორის, სახელგანთქმულ ინგლისელ ფილოსოფოსის სპენსერის ყმაწვილობის ნაწერმა „საზოგადოებრივმა სტატიკამ“, რომელიც 1850 წელს დაიბეჭდა. ეს მნიშვნელოვანი წიგნი ახალგაზრდა გონებისა და გულის ნაწარმოებია. ავტორი აქ, სხვათა შორის, ეხება და სწყვეტს ღრმად მნიშვნელოვან საკითხს მიწის საკუთრების შესახებ. შემდეგ, სიბერის დროს, სპენსერმა გადუხვია ამ გზას, სულ წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა ამ საკითხის შესახებ, მაგრამ წინად მისგან გამოთქმულ აზრს ამით არ დაუკარგავს თავისი ღირსება და მნიშვნელობა.

რა უნდა დაედვას საფუძვლად ადამიანის ცხოვრებას?—ეკითხება თავის თავს სპენსერი. ადამიანი თავისუფლად უნდა მოქმედებდეს, უნდა მიეცეს თავისუფალი ასპარეზი თავის ნიჭის გამოსაცხადებლად, განსახორციელებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამით მის მოყვასთა თავისუფლებას არაფერი ევნოს, ე. ი. ადამიანი ისე უნდა მოქმედებდეს, რომ სხვების თავისუფლება არ შეზღუდოს, არ დაარღვიოს.

შეიძლება მკითხველმა უპასუხოს ამაზე სპენსერს, რომ ეს აზრი თავის კერძო—ეგოისტურია. აქ არ არის ნათქვამი, კეთილად, სიყვარულით მოეპყარ მოყვასთა შენთა, ავტორი მხოლოდ გვიკრძალავს, ისე მოიქეცით, რომ სხვებს არაფერი ავნოთ, არ აწყენინოთ. მკითხველის ამგვარი აზრი შემცდარი აზრი იქნება. ახალგაზრდა სპენსერის აზრს საფუძვლად უდევს ქრისტიანული მცნება.

ამ სოფლის უკუღმართობა, ადამიანთა შორის უთანასწორობა—სხვების უფლების დარღვევის შედეგია. სიმდიდრე და სიღარიბე—ეს უკიდურესი მოვლენანი ცხოვრების დღევანდელ სასტიკ წესწყობილებისა. ყველა სიმდიდრე ღარიბთა ხელითაა შექმნილი და ამ თავის ნაშრომში მათ წილი არ უდევთ. მდიდრებმა თავისუფლად შემოიკრიბეს საუნჯე, მაგრამ ამავე დროს დაარღვიეს თავიანთ მოყვასთა ადამიანური უფლება: მშრომელს ნაშრომი არ აკუთვნეს, თავის საკეთილდღეოდ შემოიფარგლეს. სხვების უფლების დაცვა, მოყვასის არ-წყენა რომ ცხოვრებას საფუძვლად დაედვას, ეს წუთი-სოფელი წალკოტად გადაიქცევა.

სპენსერის მიერ გამოთქმული აზრი მხოლოდ გარეგნულად ეწინააღმდეგება მკითხველს ცალმხრივ, თავის კერძოდ. ხოლო ცხოვრებას რომ დაუფიქრდეს, ნათლად შეიგნებს, რომ სხვების უფლებათა დაცვა ძვირი და ამიტომ სამაგალითო მოვლენაა ცხოვრებაში. „კანონიერი უფლება მაქვს ჩემი სიმდიდრე, ჩემი ფული ჩემ ნებაზე მოვიხმარო, გეტყვით თვითეული მდიდარი კაცი. ამ სიტყვებს რაღაც თვალთმაქცური, ეშმაკური სიმართლე უდევს საფუძვლად. წარმოიდგინეთ მოუსავლიანობით შევიწროებული ქვეყანა, სადაც ერთ რომელსამე მცხოვრებლს ბეღლები პურით აქვს სავსე. პირველ შეხედვით ამ კაცს უფლება აქვს სთქვას: ეს პური მე მეკუთვნის და შემიძლია ჩემ ნებაზე მოვიხმარო. მაგრამ უფლებას მხოლოდ მაშინ დაერქმის ადამიანური სახელი, როცა იგი ზოგიერთების ბატონობისა და უმრავლესობის მონობის წყაროს არ წარმოადგენს. იქ, სადაც მოუსავლობაა, შიმშილ-მოკლებული უმრავლესობა უნდა ეძმოს, მონად უნდა გაუხდეს იმას, ვისაც ადამიანის ცხოვრების სახსარი—პური უპყრია ხელში. ყოველგვარი სიმდიდრე ამგვარ სასტიკ მონობის წყაროა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ოქროს სიტყვებით — პირადი უფლებით, საკუთრებით და სხ. შემკობილი, შიგნით კი ძველ მონობასავით დამპალი და გახრწნილია. სიმდიდრე იგივე პურია, ცხოვრების სახსარი, ზოგიერთების ხელში მრავლად თავ-მოყრილი, და ამ მდიდრებს, რასაკვირველია, უნდა ემონონ ისინი, ვისაც პური სჭირია, უპუროდ ვერ სძლებს. ძველი მონობა უფრო პირდაპირი, უფრო აშკარა იყო. ბაზარში ნაყიდ ადამიანს პატრონი თოკს აბამდა კისერზე, სახლში მიერეკებოდა და ეუბნებოდა: „შენა ჩემი ხარ, მონაური ცხოველი; რასაც გიბრძანებ, უნდა ამასრულო, თორემ სასტიკად დაისჯებიო. და დამფრთხალ-შეშინებული მონა ასრულებდა თავის ბატონის ყოველგვარ სურვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში უწყალო მათრახი ელოდა.

დღევანდელი ბატონები ბაზარში აღარ მიდიან მონების საყიდლად. მშვიდად ბრძანდებიან თავიანთ სახლში, თავიანთ სიმდიდრეს იცავენ და კარგად იციან, რომ დღევანდელი მონები თვითონ მოვლენ მათთან და ყმებად გაუხდებიან. მდიდრებმა კარგად იციან, რომ ძველი თოკის ადგილი დღეს შიმშილმა დაიჭირა, რომელიც თოკზე უსასტიკესად წაუჭერს ადამიანს კისერში და მდიდრის კარზე მიიყვანს პურის სათხოვნელად. დღეს მათრახით აღარ სჯიან დამნა-

სწავლება სამშობლო ენაზე იქნება. ამ კომისიამ უნდა შეიმუშაონ სასწავლო გეგმა. კომისია 20 ივლისიდან დაიწყებს მუშაობას.

◆ სად. შაგალი (ყარსის ოლ.). 18 ივლისს, ღამის 2 საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 133 შავგალიდან კარაკლისს მიდიოდა, მე-131 ვერსზე გაწყდა მატარებელი. უკანა **ვაგონები ერთმანეთს დაეჯახა.** ერთი ვაგონი გადავარდა, მეორე გარდი-გარდმო გაჩერდა ლიანდაგზე, მესამე ლიანდაგზე გადასცდა. ამ დროს მოკვდა ოთხი კონდუქტორი: დუნდუა, შერემენდაძე, დუროვი და გელვერი. მძიმედ დაშავდა კონდუქტორი ჩიტაშვილი. დაშავებული კონდუქტორი და მოკლულ კონდუქტორების გვამები ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გამოჰგზავნეს. ამ საქმის გამოსაძიებლად 18 ივლისს ტფილისიდან კომისია გაიგზავნა.

◆ როგორც განჯიდან გვატყობინებენ, 16 ივლისს, საღამოს 7 საათზე, როდესაც რკინის გზის ვახმისტრი ბური მიდიოდა სადგურზე, ვიღაცამ ხუთჯერ **ესროლა რევოლვერი და მძიმედ დასჭრა.** ვახმისტრმაც ესროლა რევოლვერი, მაგრამ უცნობი მიიმალა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გამოჰგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

◆ როგორც ვწერდით, კავკავის რკინის გზაზე ამ ჟამად **საყოველთაო გაფიცვაა.** „კაზბეკ"-ის სიტყვით, 14 ივლისს მოსამსახურეთათვის ჯამაგირები უნდა დაერიგებინათ და ყველანი დაეთხოვათ ამბობენ, გაფიცვა ორ კვირას გასტანსო.

◆ რადგან გაფიცვის გამო კავკავის გზა შეკრულია, **ფოსტა ბათუმით გამოუგზავნიათ.** ბათუმში ზღვით უკვე მოვიდა ორი ათასი ფუთი რუსეთის ფოსტა.

◆ **ქართლში გლეხთა დასამშვიდებლად** გაგზავნილი გენერალი თავ. ამილახვარი უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ როგორც უკვე ვწერდით, ინჟინერ ანდრონიკაშვილისა და თავ. გ. დ. წერეთლის მეთაურობით შესდგა ამხანაგობა **ჭიათურასა და ახლო-მახლო რკინის გზების გასაყვანად.** ამხანაგობამ ადგილ-მდებარეობის გამოკვლევა უკვე დაამთავრა და სატეხნიკო პროექტები წარუდგინა გზათა სამინისტროსა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის სატეხნიკო საბჭოს. შაბათს ამხანაგობას ბელგიის კაპიტალისტებთან ერთად სხდომა ჰქონდა „კავკასიის" სასტუმროში. კაპიტალისტებმა პირობა მისცეს ამხანაგობას, შეიტანონ თანხა აღნიშნულ გზების გასაყვანად. 22 ივლისს თავ. ანდრონიკაშვილი, ნ. გ. ქართველიშვილი და გ. დ. წერეთელი ბელგიის კაპიტალისტებთან ერთად მიემგზავრებიან ჭიათურაში ადგილობრივ დასათვალიერებლად.

◆ როგორც „კავ."-ს ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილ ბრძანებიდან სჩანს, **ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალევი დაინიშნა** იმ კომისიის საქმეების გამგედ, რომელმაც უნდა გამოარკვიოს წოდებათა მიწათ-მფლობელობის საქმე.

◆ **ბათუმში ვაჭრობა ძალიან დაეცა.** ამ მიზეზით, როგორც „ჩ. ვ." გადმოგვცემს, ბევრი ადგილობრივი ვაჭარი ჰკეტავს სავაჭროს და სხვა ქალაქში გადადის. ამას გარდა ყველა სასტუმროსთან რესტორანები დაკეტილია.

◆ წელს ტფილისის **უძრავ ქონებას სახელმწიფო გადასახადი გაეწერა** 164,208 მ.ნ., ახალციხისას—2,810 მან., გორისას—2,660 მან., სიღნაღისას—2,394 მან., თელავისას—2,056 მან., კოჯრისას—1,897 მან., ახალქალაქისას—1,413 მან., დუშეთისას—601 მან.

◆ განჯაში 16 ივლისს **მოკვდარა სახალხო სკოლების დირექტორი ცნობილი ლევიტსკი,** რომელმაც შეადგინა სახელმძღვანელო მუნჯურ მეთოდზე.

◆ ტფილისის **ქალაქის მოურავი ქ. ა. ვერმიშევი რუსეთიდან დაბრუნდა** და 18 ივლისს შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ რადგან გადასახადები აღარ შემოდის, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, **პოლიცია დაიხმაროს და დაჰკეტოს ის ტრაქტირები,** რომელთა პატრონებს გადასახადი არ შეუტანიათ.

◆ ქალაქის ზოგიერთი უბანი ეს მერამდენემე დღეა მეტად **გაჭირვებულია უწყლობით.**

◆ **ჭიათურის რკინის გზის** შტოთი მაისის განმავლობაში გაუტანიათ 3.603,750 ფუთი მარგანეცი. ფოთითა და ბათუმით საზღვარ გარედ გაუტანიათ 2,367,731 ფუთი ქვა. მსოფლიო ბაზარზე შავი ქვის ფასი ამ ჟამად ცხრა პენსია.

◆ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის"** მე-16 ნომერი (მცირე წლოვანთათვის) და ამავე ჟურნალის პედაგოგიური ფურცელი № 4.

◆ მართმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების **ორკლასიან სკოლას თიანეთში** მომავალ სამოსწავლო წლიდან გადააკეთებენ სასოფლო-სამეურნეო სკოლად.

◆ ნ. რაზიკაშვილის თაოსნობით თიანეთის მაზრის სოფელ **მაღაროში დაუარსებიათ დეპო მატყლისთვის** ბაზრის მოსაპოებლად.

◆ გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისში უეცრად ასტყდა ჭექა-ქუხილი და ამას მოჰყვა **კარგა მსხვილი წვიმა.** წვიმა სულ 15—20 წუთ მოდიოდა, მაგრამ ესეც დაეტყო ჩვენს ქალაქს, რადგან ვიხრჩვებით მტვერში და პატრონი არსაიდან არის, რომ ქუჩების მორწყვას ეშველოს რამე. ისევ ბუნება, თორემ ცუდათაა ჩვენი საქმე.

◆ ქალაქის გამგეობამ სავაჭრო-სამეურნეო მოედნის აგენტებს დაავალა, მეტი მხნეობა გამოიჩინონ საზოგადო გადასახადების მოკრების საქმეში. ამ უკანასკნელ ხანებში მეტად იკლო შემოსავალმა და შესაძლოა, თუ ასე წავიდა საქმე, ქალაქს საქმე გაუჭირდება.

◆ მექანიკოსმა დგოტკამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს დაარსოს ტფილისში საზოგადოება, რომელსაც აზრად ფიზიკური ვარჯიშობა ექნება.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ნ. ს. იგნოვი ამ დღეებში გაემგზავრება აღმოსავლეთ კავკასიაში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ.

◆ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში სპეციალურ საგნების გამოცდები მოხდება 25 ივლისს. ამ დღეს მოსწავლეებს გამოცდებს დაუჭერენ მებაღეობასა, მეღვინეობასა და მევენახეობაში.

◆ სად. ლანჩხუთი. 15 ივლისს, დილის 7½ საათზე, კანტორაში შესულა ვიღაც და მძიმედ დაუჭრია სადგურის უფროსის თანაშემწე ჩეპიძე. დამნაშავე სადღაც მიიმალა.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში ჩხუბი მოსვლიათ ტფილისის მოქალაქეს კარაპეტ მანუჩაროვს და კრეჭეტოვს. მანუჩაროვს ბებუთით რამდენჯერმე დაუჭრია კრეჭეტოვი.

◆ 17 ივლისს ჩხუბი მოსვლიათ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებს პარუნ ხაჩატუროვს და ნუხის მოქალაქეს ჰაირაპეტოვს. პირველს მეორე ისე მძიმედ დაუჭრია მუცელსა და გულში, რომ ეს უკანასკნელი რამდენისამე ხნის შემდეგ მიხეილის სამკურნალოში გარდაიცვალა.

◆ სად. აჯიქაბული. 16 ივლისს, ღამე, ვიღაცამ რევოლვერი ესროლა კანტორაში მომუშავე ვასილევს, მაგრამ ტყვია არ მოხვდა.

◆ სად. ყვირილა. 15 ივლისს, როდესაც კონდუქტორი სამს. მიქელაძე მატარებელზე თოკს სჭიმავდა, ფეხი აუცდა საფეხურზე და მატარებელმა დააშავა.

◆ ყარაიაზი. 16 ივლისს სადგურ ყარაიაზთან მოკლული ნახეს რკინის გზის კონდუქტორი ელიოზოვი. მოკლულის გვამი ლაზარეთში გაგზავნეს.

უცნაური ექიმი

(ამოცანა)

ერთ უცნაურ ექიმზე უნდა გიამბო, მკითხველო. იქნება შენც იცნობდე, იქნება შენც მიგემართნოს მისთვის, მაგრამ მე უფრო ცოტად დაახლოვებული ვარ და ნამდვილ ცნობებს მოგაწვდი.

ვინ იცის, შენ ის ექიმი ღმერთად მიგაჩნია.

უცნაური ექიმი სცხოვრობს შორს, ძალიან შორს, ხუთი ათასამდე ვერსი იქნება შენი სოფლიდან, მკითხველო. როგორ გახდა ექიმად, ამაზე ისტორიაში სწერია და შეგიძლიან იქიდან გაიგო, მე არ გეტყვი. ეს კი მართალია, რომ ყველასათვის კარგი ექიმი არ იყო. ვინც მდიდარი იყო, კეთილშობილი, ექიმსაც ის მოსწონდა და მზად იყო ყოველგვარი წამლობა გაეწია, მადლობელი კლიენტები ავრცელებდნენ ხალხში; მდაბიო ბნელ ხალხში, რომ იმისთანა ექიმი დედა მიწის ზურგზედ არ მოიპოვება, რომ ის მიწიერი ღმერთია, ციურისაგან მოვლინებული ავადმყოფთა სამკურნალოდ. მკურნალია შეუცდომელი; წამლები იცის ყოველ ავადმყოფობისათვის უებარი. ბნელი ხალხი ძლიერ იყო ავადმყოფი, რადგან შიმშილი და წყურვილი მისი ძვირი სტუმარი არ ყოფილა. გაუხარდა, რომ გამოჩნდა უცნაური ექიმი, რომელიც ყოველ ავადმყოფობას ჰკურნავს, და დაუჯერა მქადაგებლებს. ან როგორ არ დაუჯერებდა, ხედავდა, რომ მქადაგებელნი განცხრომით სცხოვრობდნენ. ჭამა სმა კარგი ჰქონდათ, ტანსაცმელი კარგი, ბინა მშვენიერი და ფული თავზე საყრი. დაუჯერეს მქადაგებელთ ისიც, რომ უცნაურ ექიმის ნახვა ძნელია, და არცაა საჭირო, რადგან შეუძლიან ავადმყოფი სიშორეზე, გინდა ათი-ათასი ვერსისა, მოარჩინოს უნახავად, გაუშინჯავად.

გაუხარდა ბნელ ხალხს. ამაზე კარგი რა არის: „წასვლა აღარ დაგვჭირდება და გზის ფული შეგვრჩებაო".

კაცი არ იყო იმდენ ხალხში, რომ კუჭის ავადმყოფობა არა ჰქონოდა: მომეტებული ნაწილი მიწის შემოსავლით იკვებებოდა, შემოსავალი კი ცოტა იყო, რადგან მიწა ერთი მუჭის ტოლა ჰქონდათ. გადასწყვიტა ერთხმად ხალხმა: „მოვკრიბოთ ხარკი ყველასაგან და გავუგზავნოთ სასწაულ-მომქმედ ექიმს მქადაგებლების ხელით, იქნება ავადმყოფობისგან განვთავისუფლდეთო". დიდის ვაი-ვაგლახით შეაგროვეს ხარკი. დიდძალი გამოვიდა: ავადმყოფი მრავალიც მრავალი იყო. მოაგროვეს და გაატანეს. გავიდა თვე, გავიდა წელიწადი. მოუვიდათ შიკრიკები. სასწაულთ მომქმედმა ექიმმა წამალი გამოგიგზავნათ: საგლეხო ბანკი. შეერთდით და იყიდეთ მქადაგებლების მიწა. ბანკი ფულს მოგცემთ შეღავათიანის სარგებლით.

გაუხარდა ბნელ ხალხს. აი ეხლა-კი წელში გავსწორდებითო. შეერთდნენ და იყიდეს ბანკის შემწეობით მქადაგებლების მამული. გავიდა წელიწადი, მეორე, მესამე. მწარე ფიქრებმა მოიცვა ბნელი ხალხი. ბანკმა კუჭი ვერ გაუძლო, ავადმყოფობა არა თუ არ გაჰქრა, ცოტა იმატა კიდეც. მართალია, ორიოდემ ავადმყოფობას დააღწია თავი, მაგრამ უმეტესი ნაწილი ისევ სენით შეპყრობილი დარჩა.

მოვიდნენ მქადაგებელნი და ნახეს, რომ სენი არ განელებულა. ხალხის სირეგვნეს დააბრალეს და ურჩიეს ახალი წამალი სცადონ: გაუმჯობესონ მრეწველობა. ამისათვის უცნაურ ექიმს უებარი წამალი აქვსო. დაიიმედეს მქადაგებლებმა. ილაჯ წასულმა ბნელმა ხალხმა დაიჯერა კიდევ და ხარკი გაგზავნა. მოუვიდა წამალი: სამელიორაციო კრედიტი. არც ამ წამალმა გასჭრა. ამ წამალს მესამე მოჰყვა, მესამეს მეოთხე და ასე ყოველ წლივ გამოვიდა მოთმინებიდან ბნელი ხალხი. გაიგო, რომ უცნაური ექიმი მატყუარაა. მართლაც, ამბობდა ხალხი, განა შეიძლება ავადმყოფს მორჩენა სიშორეზედ? არ მოვა, არ გაგვშინჯავს, არ გამოგვკითხავს და წამალს-კი გვიწერს. არა, არ გვინდა ამისთანა ექიმი. მკურნალი-კი საჭიროა. ამბობენ, საზღვარ გარედ არის ისეთი ექიმი, რომელიც ჯერ ავადმყოფს დაეკითხება ხოლმე რა სტკივა, და მერე წამალს გამოუწერს. ყველანი მადლიერნი არიან. თუმცა წამალი ყოველთვის არა რგებს ხოლმე, მაგრამ მორჩენილი ბევრია. სწავლა და გამოცდილება საჭიროა, ამბობს საზღვარ გარეთელი ექიმი, და ყოველ დღე იმას სცდილობს, მეტი სწავლა მიიღოს და მეტი გამოცდილება ჰქონდეს, რომ მისგან გამოწერილმა წამალმა გასჭრას.

ამბობენ, რომ საზღვარ გარეთელი ექიმი ხელფასს არც ისე ბევრს იღებსო, როგორც ჩვენებური სასწაულთ მომქმედი. ხალხმა ერთხმად დაადგინა: გამოვიწეროთ საზღვარ-გარეთელი ექიმი.

მკითხველო, გამოიცანი, რა ჰქვიან შინაურ ექიმს და საზღვარ გარეთელს.

ყვავი.

რუსეთის ქრონიკა

უნაყოფოდ ფულის ხარჯვა. მცოდნე პირთ წარუდგენიათ მთავრობისათვის დასაბუთებული მოხსენება, რომელიც ნათლად ამტკიცებს გზათა სამინისტროს მოქმედებას. აღმოჩნდა, რომ სამინისტრომ აზარალა ხაზინას 6½ მილ. მან. ეს ფული დაიხარჯა ეხლახან დაარსებულ შემოსავლთა ნაწილზედ, რომელიც აწმენდს სახაზინო რკინის გზების ანგარიშს. („რ.").

უმთავრესი საქმე. უსტ-იჟორის ბანაკში საპიორების ბატალიონის მეოთხე როტამ ვარჯიშობის დროს, როდესაც ასწავლიდნენ იმას, თუ როგორ უნდა სცენ სალდათებმა პატივი სამხედრო მთავრობას, მიმართა როტის უფროსს, პორუჩიკ კუდრინს, შემდეგის განცხადებით: „რადგან ამ ცოტა ხანში უნდა გავემგზავროთ საბრძოლველად, სამხედრო მთავრობის პატივის ცემის შესწავლა არ შეადგენს უმთავრეს საქმეს. ბრძოლის ველზედ საპიორებს მოელით ძნელი საქმე და ამიტომ ვთხოვთ თქვენს კეთილშობილებას იშუამდგომლოთ საპიორთა ბრიგადის უფროსის გენერალ პრესკოტის წინაშე, რომ ნება მოგვცეს შევასწავლოთ უფრო საჭირო საქმე—შორეულ აღმოსავლეთის რუქა, დაზვერის და მიდამოების გეგმის შედგენის საქმე, აგრეთვე პრაქტიკული და საპიორო სამუშაოები. პორუჩიკმა კუდრინმა მოისმინა ეს განცხადება და აღუთქვა შუამდგომლობა.

გლეხთა მოძრაობა. გლეხთა მოძრაობა ძალიან გაძლიერდა ტირასპოლის მაზრაში. როგორც „რუს. სლ." გადმოგვცემს, ქალაქ ტირასპოლს ჩაუყვანიათ სოფლებში დაპატიმრებული აგიტატორები და რევოლიუციონერები. სხვათა შორის, ამათში ყოფილა ერთი სამსახურს გარეშე მყოფი კორნეტი. როგორც ოფიციალურად დაუმოწმებიათ, მაზრაში დიდძალი არა ლეგალური ლიტერატურა გავრცელებულა თურმე.

პოლიტიკურ დამნაშავეთა დახმარება. პოლონელ ადვოკატებს დაუდგენიათ, სასამართლოებში უფასოდ აწარმოონ პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები. („რ. ს.").

საერო წარმომადგენლობა. პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ გაზეთებს, რომ ს. ვიტტეს რჩევით საერო წარმომადგენლობის შესახებ კანონ-პროექტის გამოცხადება გადაიდება, რადგან ეს პროექტი განსახილველად ორ თვემდე მაინც შეიგვიანებსო. ან-კი რა ეჩქარება ბიუროკრატიას! („რ. ვ.").

„პოტემკინ"-ისა და სხვა გემების აჯანყების შესახებ დაწყებული საქმეები ორ თვემდე გასტანს თურმე სასამართლოებში. რამდენსამე კაცისათვის უკვე ჩამოურთმევიათ ჩვენება. გამოძიების შემდეგ საქმე გადავა სევასტოპოლის სამხედრო საზღვაო სასამართლოში, სადაც ზამთრამდე ვერ გაირჩევა საქმეო, სწერს („ვ. ნ.").

ახალ გემების შეძენა. როგორც ჰამბურგიდან იუწყებიან, მინისტრს ბირილევს, რომელიც ამ ჟამად იქ იმყოფება, 40,000,000 (ორმოცი მილიონი) მანეთის ახალი გემები შეუძენია. („კ. ნ.").

საერო წარმომადგენლობისათვის ამ ჟამად პოლონეთში, პეტერბურგიდან მიღებული მინდობილობის თანახმად, დაჩქარებით ჰკრეფენ ცნობებს სოფლის მცხოვრებთა ქონებრივ მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებში ისინი მოჰყვებიან, ვისაც 200 (ორასი) დესეტინაზე ნაკლები მამული არა აქვს. მოქალაქეთა შესახებ ცნობების შესაკრებად სხვა სისტემით უნდა იხელმძღვანელონ. („ნ. ნ.").

თავდასხმისა და აკლების საქმეები სექტემბერში გლუხოვის სამოსამართლო პალატა გაარჩევს მიხაილოვის მემამულის ტერეშჩენკოს ეკონომიის აკლების საქმეს. გლეხთა დამცველებად რამდენსამე ნაფიცი ვექილია დანიშნული.

2 ივლისს სევსკში გაირჩა ალტუხოვის და სხვა 4 გლეხის საქმე, რომელთაც ბრალდებათ კურსკის მებატონის გიტაროვსკის სახლ-კარის აკლება და შენობების გადაწვა. პალატამ 3 კაცი გაანთავისუფლა, 2 ძალზე

შავე მონას, რომელიც ბატონს სურვილს არ ასრულებს: მხოლოდ სამუშაოს ართმევენ, სახლიდან ისტუმრებენ, ლუკმა-პურს აცლიან და კარგად იციან, რომ შიმშილი ისევე მწვავედ მოხვდება დღევანდელ მონის კუჭს, როგორც ძველად მათრახი მონაურ მონის ზურგს. ძველმა მონამ დღეს მხოლოდ უწინ-მაწინის ქუდი დაიხურა, არსებითად კი ძველი მონობა დარჩა და დღისით-მზისით ნათლად იჩენს თავის ძლიერებას.

ამგვარად სპენსერის აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანმა თავის უფლებით სხვების უფლება არ უნდა შებღალოს, სრული ჭეშმარიტება და სიმდიდრის უარყოფაა.

სხვების უფლების დაცვა, სხვის არ დაჩაგვრა—განათლებულ გონებისა და გულის თვისებაა. როცა ადამიანი თავის მოძმეს ადამიანად მიიჩნევს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავის მოყვასს თავის სწორად აღიარებს, იმგვარსავე უფლებას ანიჭებს, რომლითაც თვითონ სარგებლობს. ეს რწმენა დაედვა საფუძვლად ახალგაზდა სპენსერის აზრს მიწის საკუთრების შესახებაც. ყველას თანასწორი უფლება აქვს მიწით სარგებლობისა,—გვეუბნება ავტორი თავის „საზოგადოებრივ სტატიკაში".

ავტორს ნათლად შეგნებული აქვს ბუნებრივი უფლება ადამიანისა. მართლაც ხომ კარგად ვიცით, რომ ყველანი, წოდების განურჩევლად, ერთნაირად იბადებიან ამ სოფლად, ერთნაირად სუნთქავენ ჰაერს, თბებიან მზის შუქზე, მხოლოდ დედამიწის შესახებ მათი უფლება უთანასწოროა, სხვადასხვა, იმ დედამიწის შესახებ, რომელიც ყველა სიმდიდრის წყაროა, ყველა ქონების დასაბამია. თუ ნამდვილად მივიჩნევთ, გიწამებთ იმ პრინციპს, ამბობს სპენსერი, რომ ყველას უფლება აქვს თავისუფლად იმოქმედოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ სხვის თავისუფლებას ამით არაფერი ავნოს, მაშინ ისიც უნდა აღვიაროთ, რომ ადამიანს უნდა მიეცეს თავისუფლება ისარგებლოს დედა-მიწით თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ სხვებს ამით არაფერი ავნოს, სხვებსაც ჰქონდეთ ამგვარი თავისუფლება.

ამ საგნის შესახებ ორნაირ აზრის გამოთქმა არ შეიძლება. თუ რომელიმე ჩვენგანი იტყვის, მიწით სარგებლობის უფლება მე უნდა მეკუთვნოდეს და არა სხვას, ამით იგი უარჰყოფს ადამიანთა შორის ბუნებრივ თანასწორობას. ამგვარი უფლება რომ მიგვეკუთვნოთ ადამიანს, ამბობს სპენსერი, სხვებიც იტყვიან, დედა-მიწის ესა და ეს კუთხე ჩვენ გვეკუთვნის და არავის არ შევუშვებთ შიგ, ზედ ფეხს არ დავადგმევინებთ. ამგვარად მთელის დედამიწის ზურგი კერძო პირების საკუთრებად შეიქნება.

რა შედეგი მოჰყვება ამგვარ წესწყობილებას? გაბატონდებიან მიწის მესაკუთრენი, უმიწაწყლონი კი მათ კარზე უნდა მიადგნენ და უმორჩილესად სთხოვონ: ნება მოგვეცით თქვენს ადგილებში ვიმუშაოთ, ჩვენი საძრომის უდიდესი ნაწილი თქვენ მოგართვათ, უმცირესით კი საწყლად პირუტყვულად გვკვებოთ ჩვენი თავი და ჩვენი ცოლ-შვილიო.

განა ამისთანა წესი ადამიანის კანონიერ უფლების დარღვევა არ არის?

მკითხველი ნათლად ჰხედავს, რომ ახალგაზდა სპენსერის მკვეთრმა, გამჭრიახმა გონებამ განსჭვრიტა მრავალ ბურჟუაზიულ მეცნიერთაგან დაბნელებული ჭეშმარიტება და უსამართლობას, უკანონობას თავისი საკუთარი, ნამდვილი სახელი დაარქვა.

აქ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ კრილოვის არაკი იმის შესახებ, როგორ გაუჭირდა ერთ ოჯახს უბრალო ყუთის გაღება და როგორი სხვა-და-სხვა გვარად გადახლართული, ჭრელ-ჭრელი სიტყვები გამოთქვეს დამსწრეთ ამ ყუთის საიდუმლო კლიტის შესახებ. ყუთი-კი უბრალოდ, ჩვეულებრივის წესით იღებოდა. ცხოვრებაშიც ხშირად შეხვდებით ამგვარ მოვლენათ. მრავალნი განზრახ და ზოგნი-კი გაუგებრობით აძნელებენ უბრალო საკითხების გადაწყვეტას. ამისი მიზეზი ის არის, რომ მკვლევარ-მეცნიერთა უმრავლესობა დღეს ისეთ წრიდან გამოდის, რომელსაც მტკიცედ სწამს საკუთრება, ბავშვობიდან დედის რძესთან ერთად აქვს შესისხლხორცებული. ისინი ინსტინქტის, აღზრდის მსახურნი არიან. იმ წესწყობილებას ემსახურებიან, რომელზედაც მათი უპირატესობა, მათი შეღავათიანი ცხოვრებაა დამტკიცებული. სხვა და სხვა მხრიდან უვლიან ისინი ვითომ-და საიდუმლო ყუთს, სხვა და სხვა გვარად აჭრელებულ აფერადებულ თეორიებს სთხზავენ ამ ყუთის კლიტეს შესახებ, თითქო იმიტომ, რომ განზრახ გაამძნელონ, გაართულონ უბრალო საკითხის გადაწყვეტა, ამასობაში დრო მოიგონ და კიდევ ხანგრძლივად ისარგებლონ თავიანთ შეღავათიანის ცხოვრებით, თავიანთ უპირატესობით.

ეს მეცნიერნი გულ-მოდგინეთ იცავენ მიწის საკუთრებას და, სხვათა შორის, ის მოსაზრებაც მოჰყავთ თავიანთ სასარგებლოდ, რომ ეს საკუთრება მემკვიდრეობითაა დაკანონებული, მთამომავლობითი საკუთრებაა, ჩვეულებით გამტკიცებული, ამიტომ სამართლიანად აღიარებული. მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ამ მოსაზრებას დამპალი, ფუქსავატი ძირი აქვს. მოდგმიდან მოდგმაზე რომ გადასცეთ ყალბი აბაზიანი, იგი ამით თავის სიყალბეს არ დაჰკარგავს, პირიქით უფრო გაცვდება, უფრო გაითხაკება და ბოლოს და ბოლოს ნათლად გამოაშკარავდება იმისი ფუჭი შინაარსი. ასეთივე ბედი ეწევა ჭეშმარიტებად აღიარებულ ყოველნაირ ყალბ დაწესებულებას. იმიტომ გვიანდება ამ დაწესებულებათა ფუჭის გულ-დვიძლის გამოაშკარავება, რომ მათი დაცვა-გამართლება მემკვიდრე ხალხის ხელშია. ამ მემკვიდრეთა მოდგმიდან მოდგმაზე გადადის ეს ყალბი დაწესებულება, სულ თავის კერძო, ერთგვარ ხალხის წრეში ტრიალებს. მემკვიდრე მთამომავლობა, რასაკვირველია, სცდილობს წინაპრებისაგან ჭეშმარიტებად აღიაროს ის ყალბი დაწესებულება, რომელზედაც იმისი ავლა-დიდება დაფუძნებული. თვითონაც ყოველნაირ ქარაგმულ თეორიებს სთხზავს თავის მემკვიდრეობის გასამტკიცებლად და საშვილი-შვილოდ გადასაცემად.

მაგრამ ჭეშმარიტების დახშობა ისევე არ ძალ-უძს ადამიანს, როგორც ცხოველი მზის შუქის ჩაქრობა. ამ შუქის მხოლოდ დროებით დაბნელება შეიძლება. ბევრს სცდილობდნენ, მაგალითად, ძველი დროის რაინდები მოკრძალება-მოწიწებით დაეცვათ თავის ძველთა რაინდული სურათები. დიდებულ, მშვენივრად მორთულ ცალკე დარბაზებში ჰქონდათ ოქროს ჩარჩოებში თავის წინაპართა სურათები გამოფენილი. ამაყად, თავმომწონედ შეჰყავდათ ამ დარბაზებში დაბალი წოდების ხალხი, ჩამოატარებდნენ ამ სურათების წინ და ქება-დიდებითა შეფერადებულ ანეკდოტებით ამბობდნენ ძველთა ნაღვაწ-ნაგმირალს. კედლებიდან ძველ რაინდთა სურათებიც ამპარტავნულად დასცქეროდნენ უბრალო ხალხს. მთელი ეს წყება სურათებისა თითქო დასურათება იყო ზოგიერთ ძველ მატიანესი, რომელშიაც თვითეული მეფე ახოვანია და ჭკვიანი და გამეფებისათანავე განავრცელა, განამტკიცა და განამშვენა თავისი სამეფო.

უბრალო უმეცარ ხალხს სჯეროდა ეს ყალბი ჭეშმარიტება და მორჩილად ქედს იხრიდა ბატონების წარსულისა და აწმყოს წინაშე.

დღეს კი ვერავის ვერ მოატყუებენ ამგვარ სურათებით ჩვენი დროის წარჩინებული რაინდები. მათმა ფუჭმა სიამაყემ თავისი დრო მოსჭამა. დღეს რაინდთა სურათების წინაშე მოწიწება-მორჩილების მაგიერ მათ სურათს ვხედავთ ხალხის ერთგულ სატირულ ჟურნალში.

მშვენივრად მორთულ-მოწყობილ დარბაზში დამაზად მოკაზმულ მოსამსახურეს შემოჰყავს პაწია, მხარ-ბარკალ კისერ-თხელი ფანია, ახალ-მოდურ პიჯაკში გამოწყობილი და ცალ-თვალში მონოკლ-გაკეთებული. დარბაზის მთელი კედლები მოფენილია ამ ფანიის რაინდ წინაპრების სურათებით; ყოველ-ნაირ ჯიშისა და სისხლის ძაღლებს ვხედავთ აქა, ბრწყინვალე მუზარად აბჯარ-ჯაჭვშით გამოწყობილებს. ყველა ესენი ამაყად და თან მრისხანედ დასჭყურებენ თავიანთ ახალ-მოდურ პეჯაკიან, მხარ-ბარკალ კისერ-თხელ შთამომავალს, რომელიც მონოკლით ათვალიერებს თავის ძველ წინაპართა დიდებულ სურათებს.

ასეთი მკაცრი, გესლიანი და სამართლიანი დაცინვა ჩვენმა დრომ მოიტანა. დღევანდელი მხარ-ბარკალ კისერ-თხელი არისტოკრატები, შთამომავლობით თავ-მომწონენი, გესლიან დაცინვის ღირსნი არიან და სხვა არაფრისა. მათმა დიდებამ თავისი დღე მოსჭამა. აღსასრულის დღე დაუდგა აგრეთვე მათ გამქრალ დიდება-უპირატესობათა დამცველ მწერლებს, იმ თეორიებს, რომელნიც უკანონობის დაკანონებას სცდილობენ. მალე მოვა ის დღე, რომ ხალხის შეგნებული ნაწილი ამ თეორიებს ძირს გაუსინჯავს და მათ ფუქსავატობას აღმოაჩენს.

ი. ნაკაშიძე.

წლოვანს ექვსის თვით საპყრობილე გადაუწყვიტა, 33—თითო წლით და ერთიც ორის წლით გაიგზავნა გამასწორებელ რაზმში. („ი. ნ.“).

დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მამულების აკლებისთვის 8 ბრალდებულს გადაუწყვიტეს პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 1 წლით, 34 კაცს საპყრობილეში 8 თვით და სამ მცირეწლოვანს—4 თვით საპყრობილე. („ი. ნ.“).

დიდი ხარჯი. როგორც ერთ ჟურნალში დაბეჭდილ ცნობიდანა სჩანს, ლოძში ყოველ დღე სამი ათასი მანეთი იხარჯება თურმე იქ დაბანაკებულ ჯარის შესანახად. („ს. ო.“).

აგრარულ უწესოების დასაწყნარებლად მოგილოვიდან ბალტიის მაზრაში ოთხი როტა სალდათი გაუგზავნიათ. („რ. ვ.“).

გერმანიის მოთხოვნილება. გერმანიის კანცლერს მიუწერია გერმანიის კონსულისათვის ადესაში, მოსთხოვოს რუსეთის მთავრობას ის ზარალი, რომელიც გერმანიის ქვეშევრდომთ მოუვიდათ ადესის უკანასკნელ არეულობის დროს. („ნ. ვ.“).

ომიანობის დროის კანონები. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს საჭიროდ უცვნია, რომ ყოველივე საქმე, რაც-კი ჯარის წინააღმდეგობასა და პოლიციის მოხელეთა თავდასხმას ეხება, ქალაქ მოსკოვსა და გუბერნიაში, გადსცეს ხოლმე სამხედრო სასამართლოს, რომელიც დამნაშავეებს საომარ დროის კანონებით გაასამართლებს. („რ. ვ.“).

ყაზახ რუსები. ნოვოჩერკასკში თავად-აზნაურთა კრებას დაუდგენია, შუამდგომლობა აღძრას, რომ დონის ყაზახებს ნება არ მიეცეთ პოლიციის სამსახური გასწიონ რუსეთის შიდა ქალაქებში. („ს. ო.“).

თოფ-პატრონების დაკარგვა. ლიბავიდან მიღებულის ცნობით, ადგილობრივ არსენალში რამდენიმე ათასი თოფი და 50,000 (ორმოც და ათი ათასი) პატრონი დაკარგულა. („ვ. ნ.“).

პოლონური ენა ვილნოში თანდათან მოქალაქობრივ უფლებას პოულობს. სცდილობენ ყველგან და ყველაფერში პოლონური ენა შემოიღონ. („ვ. ნ.“).

ახალი რეფორმები უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ხმა დადის, წელს სწავლის დაწყებამდი იქმნება შემოღებული. („ს. ნ.“).

პობედონოსცევს უწმინდეს სინოდში პროექტი შეაქვს თურმე ეკკლესიების მართვა-გამგეობის საქმეში რეფორმის მოხდენის შესახებ. („ს. ნ.“).

ხარკოვის საზებით ინსტიტუტის მთავრობა ამ სტუდენტებისაგან, რომელნიც ხელმეორედ აპირებენ იქ შესვლას, ჩვეულებრივ საბუთის ქაღალდების გარდა, დამატებულ მოწმობასაც თურმე თხოულობს. ამ მოწმობაში მოხსენებული უნდა იყოს, რომ გუბერნატორი წინააღმდეგი არ არის სტუდენტმა სწავლა განაგრძოს. („ვ. ნ.“)

საზღვაო მინისტრად ნამყოფი ადმირალი ავილანი, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინად გადადგა სამსახურიდან, ისევ 18000 (თვრამეტი ათასი) მანეთს იღებს, სწორედ იმდენს, რამდენსაც მინისტრობის დროს იღებდა. („ვ. ნ.“)

ცრუ მილიციონერთა თავდასხმა. „ბირ. ვედ.“ ატყობინებენ დეპეშით, რომ 12 ივლისს რამდენიმე მთიულს გადაუცვამს მილიციონერის ტანისამოსი და დასცემია ქ. უიზდარს, ქალაქის გასაძარცვავად. მოუკლავთ და დაუჭრიათ რვა კაცი. („ნ. დ.“)

ლოთი აფიცრები და სალდათები. სამხედრო მთავრობას ამ ბოლო დროს ყურადღება მიუქცევია ლოთ ჯარის-კაცებისთვის. როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, მაგარ სასმელებს გადაჭარბებულად ხმარობს დიდძალი აფიცრობა და სალდათობა. სათანადო მთავრობას ამის გამო განკარგულება მოუხდენია, სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ ის ალკოჰოლიკი აფიცრები, რომელთა მორჩენაც შეუძლებელია. ისინი-კი, რომელნიც მორჩებიან, სამართალში იძნებიან მიცემულნი. რაც შეეხება ლოთ სალდათებს, ამათ დათხოვნით არ დაითხოვენ და მარტო სამართალში მისცემენ. მთავრობის აზრით, დათხოვნა რომ დაიწყონ, შეიძლება სალდათებმა განგებ მიჰყონ ხელი ლოთობას. („ნ.“).

გლეხთა არეულობა. როგორც „რუსი“ გადმოგვცემს, ზოლოტონოშის მაზრის სოფ. ერემეევკაში 29 ივნისს დიდი არეულობა მომხდარა. ეს სოფელი დიდია და ათი ათას მცხოვრებს შეიცავს. როდესაც ერემეევკაში არეულობა დაწყებულა, მისულა იქ ისპრავნიკი. ხალხი ისე ყოფილა აღელვებული, რომ კინაღამ ისპრავნიკი მოუკლავთ. მაგრამ ამ დროს ვიღაცას დაუძახნია „დაჰკა ურიებს!“-ო და ეს ამოდენა ხალხი დაუწყვიწნია ურიადნიკი და დაჭრვია იმ გლეხების სახლებს, რომელნიც არეულობაში მონაწილეობას არ იღებდნენ. დაუღუწნიათ ოცი სახლი. ამას გარდა გაუწყვეთ ექიმის, მღვდლის და ერთის მემამულის სახლები.

პასუხზე პასუხი ბ-ნ ალიბეგოვს

თუ აქამდის ვერ ვუპასუხეთ ინჟინერს ბ-ნ ალიბეგოვს, ამით არ იფიქროს, რომ სრულიად გაიმართლა თავი და აიხსნა ბრალდება თავის საპასუხო წერილით ჩვენს შენიშვნებზე. ჩვენის სიჩუმის მიზეზი სხვა გარემოება იყო და დღეს, რაკი საშუალება მოგვეცა, ვნახოთ ბ-ნი ინჟინერის სიმართლეც.

ბ-ნი ალიბეგოვი ბრძანებს, რომ ს. თოფურიას საავადმყოფოსთან არავითარი ვაჭრობა არ გამიმართავსო, როცა ჩემის მოსამსახურის ბაგიევის თავგაჩეხილი ცოლი დავაწვინეთ საექიმოდაო. ამის საბუთად რედაქციას ხელთ უპყრავს თვით მუშის ბაგიევის წერილი რედაქციის მიმართ. ბ-ნი ალიბეგოვი არ უარ ჰყოფს (კიდევ მადლობა უფალს!), რომ საავადმყოფოს ვალი დღესაც გვმართებსო, მხოლოდ ამის მიზეზად ის მოჰყავს, რომ, როცა პირველად მოგვთხოვეს, იმ დროს ჩვენი საუნჯე ცარიელი იყოო და მერე კი ს. თოფურიას გარდაცვალებამ შეგვიშალა ხელი და მემკვიდრეებიც ვერ მივაკვლიეთ რომ ვალი გაგვესწორებინაო. აბა, მოიხსენეთ რამდენი სიმართლეა აქ: ბაგიევის ცოლი გამოიწერა საავადმყოფოდან 1904 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში. ამ ხნიდან ვიდრე აპრილის 17-დის ს. თოფურიამ რამდენჯერმე მოაგონა ალიბეგოვს ვალის გადახდა. 1904 წ. აპრილის 17-ს ბ-ნი ალიბეგოვი თავის წერილით, (რომლის დამოწმებული პირი რედაქციას უპყრავს ხელთ აგრეთვე მეორე სხვა წერილის პირიც.*) აღიარებს, რომ მას არაფერი არა მართებს საავადმყოფოსი, (დეკემბრის 1-ს კი იგივე ბ-ნი ინჟ. ალიბეგოვი სწერდა საავადმყოფოს წერილს, დააწვინეთ ეგ ბაგიევის ცოლი, უექიმეთ და ხვედრ სასყიდელს მე მოგართმევთო) მოვალე ის კი არა, მისი მოსამსახურე ბაგიევიაო, და თუ ს. თოფურია დაუკლებს და 314 მანეთს, რამდენიც საავადმყოფოს ერგება, 200 მანეთზე დაიყვანს, ალიბეგოვი ეხლავ უხლავს საავადმყოფოს ამ ფულს და 8 თვის განმავლობაში 25 მანათობით გამოურიცხავს ხვედრის ჯამაგირიდან. ბაგიევს ეგ წერილი თვით ბაგიევს მიუტანია თოფურიასთან და შეუჩივლია თავის აუტანელი მდგომარეობა. რვა თვის განმავლობაში ხვედრის ჯამაგირის განახევრებით, სრულიად უსახსროდ რჩებოდა ცოლ-შვილიანი კაცი. და ყოველ ამის შემდეგ მოდი და ნუ გაგიკვირდებათ ამავ ბაგიევის ვითამ წერილი რედაქციისადმი, რაც საბუთად მოჰყავს ბ-ნ ალიბეგოვს თავის პასუხში.

უფრო საყურადღებოა მეორე საქმე. მე მოგახსენებთ მუშა პაპიანცის დამარხვის თაობაზე. ბ-ნი ალიბეგოვი იმით იმართლებს თავს, რომ ვერ დავესწრო პაპიანცის გასვენებაზე, რომ თავადაც შეუძლოდ იყო, ქუთაისში არ ვიყავი იმ ხანებშიო და რომ გასვენება დაგვიანდა, ამის მიზეზი ისაა, რომ განსვენებულის დედას დეპეშა მივსწერეთ და ველოდითო. იმოწმებს ექ. ნაზაროვსაც. აქ რამდენი სიტყვაცაა, ორი იმდენი სიცრუეა. პაპიანცი გარდაიცვალა საავადმყოფოში აპრილის 16-ს, ბ-ნი ალიბეგოვი 17 და 18-ს ქუთაისში იმყოფებოდა. ბ-ნ ალიბეგოვის მიერ მოყვანილმა მოწმემ ექ. ნაზაროვმა აუწყა საავადმყოფოს გამგეს, რომ პაპიანცის დასაფლავების თაობაზე ბ-ნ ალიბეგოვს არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, ამას კი ამბობს, რომ დეპეშა გავგზავნე მადნებშიო. საავადმყოფოს გამგემ სთხოვა ექ. ნაზაროვს,—გთხოვთ აცნობოთ ალიბეგოვს—თუ დილის მატარებლით 20 რიცხვისათვის არაფერი ამბავი მოვა ტყიბულიდან, მაშინ იგი მოუხმობს სომხების კალონიას და გადასცემს მიცვალებულს. დილის მატარებლით არავინ გაჩნდა და გამგემ მოუწოდა სომხის მღვდელს და ამათაც დამარხეს მიცვალებული. სალამოზე ტყიბულიდან მოსულმა კაცმა განაცხადა, რომ პაპიანცის სიკვდილის ამბავი მხოლოდ ექ. ნაზაროვის დეპეშით გავიგეთო, ალიბეგოვს არავითარი დეპეშა არ გამოუგზავნია და რომ ჩამოვიდა არც მაშინ უცქვამს პაპიანცის გადაცვალების ამბავიო. რომ ინჟ. ალიბეგოვს არ უთხოვნია სომხის მღვდლისათვის პაპიანცის დასაფლავება, ამის მოწმე თვით იგივე მღვდელია, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ჩვენ მიერ პირველ შენიშვნაში მოყვანილი საბუთები ალიბეგოვის მოქმედების თაობაზე, და რომელმაც ბ-ნ ალიბეგოვს არა ერთ გზის მოსთხოვა მხარჯის გასწორება პაპიანცის დასაფლავების გამო, ხოლოდ ბ-ნმა ალიბეგოვმა ჩუმი არ გაიღო და დღეს კი სულის წესით უნდა დაუწყოს საქმე. ძალიან ეჭვის თვალით ვუყურებთ ჩვენ ბ-ნ ალიბეგოვის განცხადებას, რომ იგი არავითარს მონაწილეობას არ იღებდა, როცა ყოვლად და ყველასაგან პატივსაცემ მემანქანეს რ. ქურდობა დაბრალდა და ოქმს უყენებდნენ. ჩვენი ბრალდების სიმართლეს ვაფუძნებთ „ტიაგის“ რევიზორის ოფიციალურს გამოძიებაზე.

ერთი ახალი ფაქტიც. გასულ მაისის 30-ს ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ერთის მადნის მუშის გვენეტაძისა, რომელიც ბ-ნ ინჟინერს გამოუგდია და იმდენად უსამართლოდ, უსაბუთოდ, რომ ამ საქმის გარჩევამ მსაჯულნიც, ექსპერტებიც და ყველა დამსწრენი სამსაჯულო დარბაზში უზომოდ ააღელვა.

ქუთაისური კორესპონდენტი

ეს წერილები რედაქციაში ინახება **რედ.**

წერილები

დუშეთი. ყველა ქალაქმა და სოფელმა გამოიღვიძა და მხოლოდ დუშეთსა სძინავს. ჩვენი ქალაქი უწინდელებრ გაიძახის „მრავალ-ჟამიერს“ და „გაუმარჯოს ჩვენ კომპანიას“. ყოველ სადამოს დუშეთის ბაზარში „ჩამოასხი“ გაისმის. ამას ხელს უწყობს თვით ბუნებაც: მთვარიანი ღამეები და კარგი საქეიფო მინდვრები. დუშელებმა ღვინოზე გაცვალეს თავიანთი უფლებები. დუშელებს ჰქონდათ ერთადერთი ყრილობა, რომელსაც აქაური ვაჭრები „ბუნტს“ უწოდებენ. ყრილობაზე ილაპარაკეს ქინაქინის სიძვირეზე აქაურ აფთიაქში და ქალაქის საბჭოს მწერალზე, რომელიც, მათი სიტყვით, ბევრს ჯამაგირს იღებს: ყრილობამ დაადგინა: დაუკლოს ქალაქის საბჭომ მწერალს ჯამაგირი. დუშელებმა თავიანთი უკმაყოფილება იმით გამოაცხადეს, რომ მიადგნენ ქალაქის საბჭოს შენობას ყვირილით: „ძირს კარპოვი (ეს არი მწერლის გვარი) ძირს! ძირს“!.. ამით დაიწყო და გათავდა „მოძრაობა“ დუშეთში.

მთიული ბარში

ბორჯომი. 13 ივლისს დ. ბორჯომში აკურთხეს ახლად აშენებული სამკურნალო. სამკურნალო არის აშენებული დიდის მთავრის ხარჯით ბორჯომში მოსამსახურეთა, მომუშავეთა და ბორჯომის მამულში მცხოვრებ გლეხთათვის. სამკურნალოს შენობა დაჯდა 35,000 მანეთად და კარგად არის მოწყობილი. კურთხევას დაესწრო დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. კურთხევის წინ ადგილობრივმა მღვდელმა გორგაძემ სიტყვა წარმოსთქვა.

დამსწრე.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ს. საჭილაოს საზოგადოების მონდობილებით ვაცნობო ყველას, რომ ფერისცვალების დღესასწაული (6 მარიამობისთვე) მოსპობილია, როგორც დღევანდელი დღის შეუფერებელი და მავნებელი ჩვეულება. ხალხის გადაწყვეტილებით ვინც დადგენილებას არ შეასრულებს, დაჯარიმებული იქნება.

ტიბუ კორძაია.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ივლისი.

გოძიადანი. იაპონიის არმიის რაიონიდან მისული ჩინელები ამბობენ, რომ მთელი ის ტერიტორია, რომელიც იაპონიის 5 არმიას უჭირავს, აყროლებულია აუარებელ მეომართა და ცხოველების გვამებით. ჭები და წყაროებიც აყროლებულია, ვინაიდან ცხელი დრო დგას. იაპონელები მალავენ, რომ მათ რაზმებში შავი ჭირი გაჩნდაო.

სიტიაზა. ცნობა მოვიდა მარცხენა ფრთიდან 9 ივლისს გაგზავნილ მზვერავ რაზმის მოქმედებაზე. ეს რაზმი შესდგებოდა ორის ბატალიონისა, ერთის სოტნისა და არტილერიისაგან და გაგზავნილი იყო ერდაგოუსა და მალუგოუსაკენ. 10 ივლისს სალამოს რაზმს პირისპირი სროლა ჰქონდა ვანგულინის უღელტეხილზე ხუნხუზებთან, რომელთაც უკან დაიხიეს. რაზმი წავიდა წინ, დასტოვა რა უღელტეხილზე ორი როტა. 11 ივლისს დილით მიაღწია ერდაგოუს. შემდეგს მოძრაობას განუწყვეტელი სროლა მოსდევდა. საჭირო იყო წყლებზე გადასავალ გზების გაკეთება. 13 ივლისს დილით რაზმმა მიაღწია მალუგოულინის უღელ-ტეხილს და არტილერიის ცეცხლი დაუშინა მტრის მიწის საფრების რამდენიმე იარუსებს. სალამოს საფრები იერიშით აიღეს და მტერმა უკან დაიხია დიდის ზარალით. ტყვედ წამოიყვანეს 7 იაპონელი; ჩვენ მოგვიკლეს 4 უბრალო ჯარის კაცი, დაგვიჭრეს ერთი აფიცერი და 12 სალდათი. მტერს მაშველები მოუდის. ჩვენმა რაზმმა ადგილის პლანი გადაიღო და სხვაგან გაემართა.

ტოკიო. მთავარი სადგომი იუწყება, 14 ივლისს რიკოვოში შევიდა კავალერიის რაზმი და შემდეგ გავიდა იქიდან, რადგანაც მოუხერხებელი იყო იქ დგომა. იაპონელებს განზრახვა ჰქონდათ იერიში მიეტანათ რუსებზე მათის რიკოვოდამ დასავლეთისკენ წასვლამდის, სისრულეში მოიყვანეს კიდეც თავიანთი განზრახვა კავალერიის დახმარებით და გაიძევეს რუსები რიკოვის ჩრდილოეთის ნაწილიდან. ქალაქში ხელ-ჩართული შეტაკება მოხდა. 16 ივლისს იგი საბოლოოდ დაიჭირეს. რუსების მთავარი ჯარა სამხრეთისაკენ წავიდნენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ივლისი

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან 17 ივლისს არ მოსულა ოფიციალური ცნობა.

ნიუ-ჩუანი. რუსები შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდებინათ იაპონელების საკვებ საწყობისათვის სინმინტინისა და კუდიაზუნის ახლოს, მაგრამ ამაოდ. ჩქარა გენერალური შეტაკება მოხდება ჯარების მთელს ფრონტზე.

ლონდონი. იაპონიის მისიამ უფრო დაწვრილებითი ოფიციალური ცნობები გამოაქვეყნა სახალინის ოპერაციებზე: იაპონიის ცხე კავალერიის რაზმმა, რომელმაც 14 ივლის დაიჭირა რიკოვსკოე, იმავე დღეს მიატო სოფელი. იაპონიის მარცხენა კოლონამ ი წინ გადამქრება რიკოვსკოესკენ 16 ივლისს, დაეცა რა ჩრდილოეთიდან, შევიდა სოფელში და დაიჭირა იგი საშინელის ბრძოლის შემდეგ ქუჩებში. მარჯვენა კოლონამ დამარცხა რუსები ვერდენიკოვისთან და შევიწროვება დაუწყო მათ. რუსებმა სამხრეთისაკ დაიწიეს. მას გამოუდგა რაზმი, რომელიც რიკოვსკოვს სამხრეთით 8 კილომეტ. შეხვდა რუსის ქვეითებს. 200 კაცი მოკლულია, 500 ტყვედ წაყვანილი. 14 ივლისიდან იაპონიის მარჯვენა კოლონის წინააღმდეგ მოქმედებს 3 ათასი ქვეითი რუსი 8 ზარბაზნით და 2 ათასი კაცი 4 ზარბაზნით მარცხენა კოლონის წინააღმდეგ.

რომი. დიპლომატიურ წრეებში გაცხარებული კამათი აქვთ ერთის დიდის სახელმწიფოს წინადადებაზე კოალიციის დაარსების შესახებ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების თანხმობით, რათა დაუშალონ იაპონიას უზომო სარგებლობის მიღება მოლაპარაკების დროს, რასაც შეუძლიან დაემუქროს იმ სახელმწიფოების გავლენას, რომელნიც დაინტერესებული არიან შორეულ აღმოსავლეთში.

კანეია. ამბობენ, კონსულ გადიამ განუცხადა დეპუტატებს, კრიტოსზე წესიერება დამყარდება, [illegible] რომ უარს იტყოდეს უზენესს კომისარს პოსტზეო. ამ განცხადებამ ღრმა მღელვარება გამოიწვია.

პირეი, 17 ივლისი. დღეს დაიწყეს ქალაქის წყლის მიღების გაყვანა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 ივლისი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,2½
პარიზის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85½
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	80¹/
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	408½
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 2866 წ.	307
5% გირ. მამ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	265½
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკის.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია.	27

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე-დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—17)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის ხელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და სალამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—9)

„**კავშირი**“-ს
საწყობში იყიდება ოთხი ახალი წიგნი:
1) წერილი სოფლელ მუშას, თხზ. ტ. ართმელაძისა . . . . . . 10 კ.
2) სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს, მისივე . . . . . 5 „
3) ბუდდა და მისი სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზედა . . . . 5 „
4) ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება, ა. დ.—სა . . . . . 10 „
ვინც ერთი მანეთისას გაიწერს, გასაგზავნი ხარჯი ჩვენია. დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, Тумановскій пер. № 38, Ивану Павловичу Ростомашвили. (2—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

✦ კბილებს ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—12)

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ლოკჩ-გოლბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—22)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო.
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—12)

ОТКРЫТА ПРЕДВАРИТЕЛЬНАЯ ПОДПИСКА „ЗАПИСЬЮ“
на 1905 годъ
на ежедневную, политическую, общественно-литературную газету
„КАВКАЗСКІЙ КРАЙ“
съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ съ каррикатурами приложеніемъ и мѣсячнымъ журналомъ подъ названіемъ „Кавказовѣдѣніе“. Ежемѣсячный журналъ будетъ высылаться безплатно только годовымъ подписчикамъ. Первый № ежемѣсячника выйдетъ въ іюлѣ.

Въ непродолжительномъ времени газета будетъ выходить ежедневной, по расширенной программѣ съ политическимъ отдѣломъ. Ожидаются отъ авторовъ, изъявившихъ согласіе на сотрудничество, рукописи и матеріалы. Приглашаются корреспонденты изъ разныхъ городовъ края, а также представители и коммерческіе агенты по сбору объявленій.

Плата за объявленія. Строчки петита: впереди текста—10 коп.; позади текста—5 коп. Многократныя объявленія печатаются со значительной скидкой. Лицамъ, ищущимъ труда—скидка 50%.

Условія подписки. Съ доставкой: на годъ—7 р.; на 6 мѣс.—4 р.; на 3 мѣс.—2 р. на 1 мѣс.—1 р. Безъ доставки на годъ—6 р. Заграницу—14 р. Допускается широкая разсрока.

Редакція газеты „Кавказскій Край“ въ виду обоюднаго удобства, какъ для себя, чтобы выяснить будущее число подписчиковъ, такъ и для гг. читателей, чтобы дать возможность безъ замедленія получать газету, а также предоставить имъ въ уплатѣ денегъ отсрочкой до 25-го сентября, покорнѣйше проситъ читателей, въ случаѣ желанія быть подписчикомъ нашей гезеты, подписать и возвратить въ редакцію настоящій отрѣзной бланкъ „Предварительной записи“, послѣ чего высылка газеты начнется немедленно и этимъ сбережется время какъ у подписчиковъ, такъ и у редакціи.

Редакція и контора: Тифлисъ, Кочубеевская, д. Эсадзе.
(ვ. 6—7). Редакторъ-издатель Б. С. Эсадзе.